ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 182 (26478) — ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 8 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 1989 ᲬᲔᲚᲘ. — ᲤᲐᲡᲘ 8 ᲙᲐ�პ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲗᲐᲕᲘᲡᲘ გამოსვლის დასაწყისში დეპუტატმა **დ. ნ. კუᲮᲣᲢᲔᲜᲪᲔᲕᲐ** დამსწრეთ შეახსენა, რომ 6 ივნისს მთელი ქვეყანა, მთელი მსოფლიო აღნიშნავს ა. ს. პუშკინის დაბადების 190 წლისთავს. იგი განსასაზღვრავს დიდი რუსი ხალხის მთელ კეთილშობილებას, თქვა ორატორმა, ხალხისა, რომელიც თავის სახელმწიფოს დასაბამიდან ქმნიდა როგორც მრავალეროვან სახელმწიფოს, მაგრამ რუსეთის მიერ შეძენილი ეროვნებათშორისი ურთიერთობის გამოცდილება, უნიკალური გამოცდილება, რომელიც არა აქვს მსოფლიოში არც ერთ ხალხს, სამწუხაროდ, მოისპო სტალინიზმის ხანაში.

მოკლედ შეეხო რა ჩვენი სახელმწიფოს ისტორიის ზოგიერთ ეპიზოდს, დეპუტატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა ხალხისათვის რუსეთი იყო სამშობლოც და დედაც. შემდეგ ორატორმა ილაპარაკა ქვეყანაში თანამედროვე ეროვნებათშორის ურთიერთობაზე. შეეხო რა მკრეხელობათან ხალხებს, მან დამსწრეთ უურადღება მიაპყრო ყირიმელ თათართა, ვოლგისპირეთის რესპუბლიკის გერმანელთა, მესხ თურქთა, სხვა ხალხთა ბედს, რომლებიც თავის დროზე გაასახლეს მშობლიური ადგილებიდან. მისი აზრით, საბჭოთა ქვეყანაში არ უნდა იყვნენ „მეორეხარისხოვანი“ ხალხები. დეპუტატმა წინადადება შემოიტანა აღადგინონ ყირიმელ თათართა და ვოლგისპირეთის გერმანელთა რესპუბლიკების ავტონომია.

მან აგრეთვე შემოიტანა წინადადება: ყირილობაზე მიიღონ კანონი, რომ არც ერთმა ხალხმა აღარ განიცადოს ისეთი აქციები, როგორიც იყო სტალინის დროს, — კანონი ხალხთა უფლების შესახებ.

დასასრულ დეპუტატი შეეხო შიდსის პრობლემას, ამ საშინელი სენის — „XX საუკუნის შავი ჭირის“ წინააღმდეგ ბრძოლაში არსებულ ნაკლოვანებებს.

საბჭოთა შეიარაღებული ძალები მთლიანად უჭირავს მხარს პარტიის კურსს გარდაქმნისათვის, ხაზგასმით აღნიშნა დეპუტატმა **ა. დ. ლიᲮᲘᲜᲘᲜᲐ.** ამ ბოლო წლებში შემუშავებული და მიღებულია ახალი თავდაცვითი დოქტრინა, ამოქმედდა თავდაცვასთვის გონივრული საკმარისობის პრინციპი. ეს თავდაცვითი პოლიტიკის დარგში ახალი პოლიტიკური აზროვნების, პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მხრივ შეიარაღებული ძალების მტაცეა და ყოველდღიური ხელმძღვანელობის შედეგია.

ორატორი დაწვრილებით შეეხო სამხედრო გარდაქმნის საკითხებს, აღნიშნა, რომ მთელ ამ მუშაობას სოლიდური სამართლებრივი საძირკველი ეყრება. მან გამოთქვა რწმენა, რომ თავდაცვისა და უშიშროების საკითხთა კომიტეტი, რომელიც იქმნება, თავდაცვის შესახებ სსრ კავშირის კანონის შემუშავება და მიღება კიდევ უფრო განამტკიცებს შეიარაღებული ძალების გარდაქმნის საფფრვლებს.

არმიისა და ფლოტში მთელი მუშაობის სრულყოფის საკითხებს რომ შეეხო, დეპუტატმა გამოყო მათგან უმნიშვნელოვანესი — კადრების მუშაობის სტილისა და მეთოდების, მათი შერჩევისა და განაწილების პარტიული პრინციპების დამკვიდრება. მან აღიარა, რომ ჯერ კიდევ არ მომხდარა შეიარაღებულ ძალებში დისციპლინის ძირეული განმტკიცება, როგორც ამას სკკპ ცენტრალური კომიტეტი და გარდაქმნა მოითხოვენ, წამოაყენა მთელი რიგი წინადადებანი მისი განმტკიცებისათვის. ორატორმა გამოთქვა შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში გაჩნდნენ „ავიტატორები“, რომლებიც ცდილობენ საფელი გაუტეხონ არმიასა და მის ვეტერანებს, შეარყიონ ხალხის თვალში შეიარაღებული ძალების ავტორიტეტი. ზოგან ადგილებში ამ ინსინუაციებს ყოველთვის როდი ეძლევა საღი პარტიული შეფასება. ჩვენ ქვეყნის ერთობის, არმიის ერთობის, საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების კონსოლიდაციის მომხრე ვართ, ხაზგასმით აღნიშნა დეპუტატმა. ქვეყნის შეიარაღებული ძალების მოწოდებული არიან უზრუნველყონ მსოფლიოს სტრატეგიული სტაბილურობა და საბჭოთა სახელმწიფოს უშიშროება.

კანონმდებლობის პრობლემებზე ზოგიერთი მოსაზრება **გიᲝᲜᲘᲐ** არა დამსწრეთ დეპუტატმა **ს. ს. ალექსეევმა** — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ურალის განყოფილების ფილოსოფიისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა. ორატორმა ყურადღება დაუთმო იმას, რომ საჭიროა შეიქმნას მოწინავე, სრულყოფილი, მაღალი კლასის სამართლებრივი სისტემა, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს სტანდარტებს შეესაბამება. მისი აზრით, ამისათვის საჭიროა შემოწმებული საკანონმდებლო პოლიტიკა და მკაფიო, მკაცრი საკანონმდებლო სტრატეგია.

დეპუტატმა აღნიშნა ყველა კანონის მნიშვნელობა და ამავე დროს ის, რომ საჭიროა საღად და ობიექტურად განისაზღვროს პრიორიტეტები. ამასთან დაკავშირებით მან აღნიშნა ის საკანონმდებლო ღონისძიებანი, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა მივიღოთ უმაღლესი საბჭოს უახლოეს სესიაზე, — დეპუტატის სტატუსის, რეგლამენტის, რეფერენდუმის შესახებ, აგრეთვე კანონები გაფიცვების, გაერთიანებების შესახებ. ამასთან, დეპუტატის თქმით, საჭიროა, გავიუქმოთ ნორმატიული აქტები, რომლებსაც მხარი არ დაუჭირეს საზოგადოებრიობამ და ხალხმა.

დასასრული, დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 181.

ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲘᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡᲐ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲛᲝᲑᲡ

6 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ მოსკოვში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების კრემლის სხდომათა დარბაზში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს პალატის პირველი სხდომა.

სიტყვას წარმოთქვამს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **მ. ს. გორბაჩოვი.** გულითადად მიეფერა და დეპუტატებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ეროვნებათა საბჭოს პალატის პირველი სხდომა.

ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲘ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲡᲪᲔᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲡ ᲐᲛᲐᲖᲔᲑᲡ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲘᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲛᲝᲑᲡ

ᲛᲬᲙᲘᲪᲔ, ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲖᲔ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

7 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ მოსკოვში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების კრემლის სხდომათა დარბაზში, გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს პირველი გაერთიანებული სხდომა.

გახსნა რა სხდომა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი მიესალმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წევრებს რეგულარული მუშაობის დაწყებასთან დაკავშირებით.

თავმჯდომარემ წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად შემოსული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განცხადება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის 129-ე მუხლის შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამოწურულად მიაჩნია თავისი მოვალეობანი და იხსნის თავის უფლებამოსილებას ახლად არჩეული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე.

დეპუტატებმა მხედველობაში მიიღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განცხადება.

სსრ კავშირის კონსტიტუციის თანახმად, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნისათვის კანდიდატურას სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

ამის შესაბამისად სიტყვას იღებს **მ. ს. გორბაჩოვი.** იმ რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში უკავია საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას როგორც მმართველ პარტიას, თქვა მან, გაიმართა კონსულტაციები პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებთან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე კანდიდატურის თაობაზე. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ეს საკითხი და მხარი დაუჭირა წინადადებას, რომელიც მე წარმოვადგინე. იგი გამოქვეყნებულია.

ვეყრდნობი რა ჩემს ღრმა რწმენას და პარტიის ცენტრალური კომიტეტის აზრს (ვიმედოვნებ, რომ იგი ასახავს ჩვენი ხალხის, დეპუტატების აზრსაც), შემოგაქვს წინადადება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნოს ამხანაგი ნიკოლოზ ივანეს ძე რიჟკოვი.

იმას, რაც დეპუტატებს ვოთხარი პარტიული ჯგუფის **სხდომაზე,** თქვა შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა, მინდა დავძინო შემდეგი: ნ. ი. რიჟკოვის კანდიდატურა მიმდინარეობს რამდენიმე პრინციპული მოსაზრებიდან.

ჯერ ერთი: თავისი პოლიტიკური, საქმიანი, ადამიანური და ზნეობრივი თვისებებით ამხანაგი რიჟკოვი ღირსია იმისა, რომ იგი კვლავ დაინიშნოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

მეორე: ამხანაგ რიჟკოვის სახით ჩვენ გვყავს კაცი, კომუნისტი, ხალხელმწიფო მოღვაწე, რომელიც ჩვენი საზოგადოების განვითარების გარდამტეხ ეტაპზე, როცა პარტიაში, მთლიანად საზოგადოებაში ჩვენ მივედით სოციალისტური საზოგადოების გარდაქმნის, განახლების განხორციელების აუცილებლობამდე, პრინციპულად ერთგული ამ კურსისა, დგას მტკიცე, პრინციპულ პოზიციებზე, იგი ჩვენი საზოგადოების გარდაქმნისა და განახლების პოლიტიკის მტკიცე მომხრეა. და ყველფერი, რაც გაკეთდა ამ წლებში იმისათვის, რომ კეთდეს ეს პროცესები, მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია მის პირად წვლილთან. აქ, ალბათ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ნ. ი. რიჟკოვს კარგად აქვს წარმოდგენილი ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია, რადგან მთელი მისი წინა ცხოვრება საშუალებას აძლევს დაინახოს, რა მდგომარეობაშია **ქვეყანა.**

თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილის მანძილზე ნ. ი. რიჟკოვი უშუალოდ იყო დაკავშირებული მრეწველობაში მუშაობასთან. იყო რიგითს სამუშაოზე, შემდეგ ხუთ წელიწადს — „ურალმანქანის“ მთავარი ინჟინერი, ხუთ წელიწადს — „ურალმანქანის“ გენერალური დირექტორი, შემდეგ მუშაობდა მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროში, ოთხ წელიწადს იყო სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, შემდეგ მუშაობდა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში. ასე რომ, მას ჰქონდა შესაძლებლობა შეეძინა ვინაობა, ჩამოეყალიბებინა ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების საკუთარი გაგება. და ამ გამოცდილების შედეგი გახდა ნ. ი. რიჟკოვის მხურვალე სურვილი აქტიური მონაწილეობა მიეღო გარდაქმნის პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციაში.

ამხანაგ რიჟკოვის სახით, მინდა ხაზი გავუსვა ამას, ჩვენ გვყავს გარდაქმნის კურსის ერთგული ადამიანი. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი გარდაქმნა წინ ვერ წავა, თუ იგი არ განავითარებს, გეგმაზომიერად არ მოიცავს ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს, დემოკრატიის პროცესებს. ნ. ი. რიჟკოვის სახით გვყავს კაცი, დემოკრატიული ხელმძღვანელი. ყველფერი, რაც გაკეთებულია ქვეყანაში დემოკრატიის, საჯაროობის განვითარების, პოლიტიკური პროცესის, პოლიტიკური რეფორმის განვითარების თვალსაზრისით, გარდაქმნით შემუშავებულ ყველა ახალ მიდგომას ნიკოლოზ ივანეს ძე პრინციპულად იზიარებს. და ამან თავისი კვალი დაჩინა ეკონომიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების შემუშავებას. ეკონომიკურ სფეროსთან დაკავშირებული წინადადებების, დოკუმენტების მთავარი ღერძი მაინც დემოკრატიზაციაა. იგი გამოვლინდა იმითაც, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ინიციატივით შემუშავებული იყო კანონი ჩვენი ეკონომიკის მთავარი რგოლის — საწარმოს შესახებ. ამას უკვე თავისთავად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ დღემდე, როგორც წესი, რეფორმები იწყებოდა ზემოდან, ხედა ეშელონებში გადადგმული რაღაც ნაბიჯებიდან. და სანამ ყოველივე ეს საწარმოებამდე აღწევდა, ზმირად უკვე კარგად ენერგიას, არსი ეცლებოდა.

ნ. ი. რიჟკოვის დემოკრატიულობა გამოვლინდა იმითაც, რომ იგი აქტიურად იღებს ეკონომიკის დეცენტრალიზაციისათვის, ბუნებრივია, ისეთ პირობებში, როცა ცენტრს შენარჩუნებული აქვს მთავარი პოზიციები, რათა მოახერხოს ჩვენი ურთიერთობის პარადიგმის ტრანსფორმაცია ყველა დონეზე, ჩვენს რთულ სახალხო-სამეურნეო კომპლექსში. ამის თაობაზე უკვე მრავალი დოკუმენტი შემუშავებულია, სხვები — მზადდება. ეს დოკუმენტები შეეხება რესპუბლიკებს, მათს დამოუკიდებლობას, რეალური შინაარსით მათი სუვერენიტეტის გამდიდრებას. ისინი შეეხება ადგილობრივ საბჭოებს, და ესეც ძალზე მნიშვნელოვანი მომენტია, უმისოდ არავითარ საბჭოების ხელისუფლებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ნიკოლოზ ივანეს ძე არა მარტო იზიარებს ასეთ მიდგომას, არამედ სათავეში უდგას მუშაობას ამ დოკუმენტების მომზადებისათვის.

ნ. ი. რიჟკოვის დემოკრატიულობა ვლინდება იმითაც, რომ იგი იყო ახალი მიდგომების, ცხოვრების, ეკონომიკის, სოციალისტური საკუთრების ორგანიზაციის ახალი ფორმების აქტიური მომხრე. ეს გამოვლინდა კოოპერაციული მოძრაობის განვითარებაში, არენდის თაობაზე დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებებში და ა. შ.

იმის მიუხედავად კი, აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, რომ ახლანდელ ხუთწლიან გეგმას მნიშვნელოვანწილად უძრაობის წლების ბეჭედი ახსნ, რადგან ჩვენ ჯერ კიდევ მხოლოდ ვცდილობთ ჩავწვდომოდით ჩვენი ეკონომიკის არსს, ამ გაგების საფუძველზე მიგვეღწია ახალი გადაწყვეტილებებისა და მიდგომებისათვის, ამ ხუთწლიანი გეგმის შემუშავების დროსაც კი ჩადებული იყო მნიშვნელოვანი იდეა — ადამიანის მიმართულებით ჩვენი ეკონომიკის ხელახალი ორიენტაციის იდეა, მისი შემობრუნება სოციალური პოლიტიკისაკენ. ესეც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და მისი თავმჯდომარის პოზიციაა.

როცა ასეთნაირად ვახასიათებთ ამხანაგ რიჟკოვს, თქვა შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა, ამავე დროს მინდა ვთქვა (ამაზე უკვე ვილაპარაკე ბოხსხებაში), რომ ყველფერი ისე არ არის გაკეთებული, როგორც ჩადგენრებული იყო. უფრო მეტიც, დაშვებულია სერიოზული ხარვეზები. მაგრამ, მე მგონი, ესეც კი საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ყველა ჩვენგანისათვის — და მთავრობისათვის უწინარესად, ეს საბაბია სერიოზული გაკვეთილებისათვის, იმისათვის, რომ მომავალში შევიმუშაოთ ისეთი მიდგომები და ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც უკვე გარდაქმნის მსვლელობაში მოხსნიდა დაგროვილ პრობლემებს, აღმოფხვრიდა ხარვეზებს და გაიყვანდა ჩვენს ეკონომიკას განვითარების გზაზე.

ნ. ი. რიჟკოვი თვითკრიტიკული კაცია, პარტიულად ეკიდება მთავრობის საქმიანობის შედეგებს. ახლა საჭიროა ჩვენი ნდობით, უმაღლესი საბჭოს ნდობით განვატკიცოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნდობა, დანიშნოთ იგი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ და ამით შესაძლებლობა მივცეთ შემდგომ განვითაროს გეგმები, რომლებიც მას აქვს, გამოასწოროს ის, რაც მხედველობიდან იყო გაშვებული, გამოიტანოს დასკვნები წარსულიდან.

შემდეგ ნ. ი. რიჟკოვმა უპასუხა დეპუტატთა მრავალრიცხოვან კითხვებზე.

მიმაჩნია, თქვა მან, კერძოდ, რომ ახორციელებდა რა სკკპ XXVII ყრილობისა და XIX პარტკონფერენციის ეკონომიკურ სტრატეგიას, სტრატეგიული თვალსაზრისით მინისტრთა საბჭოს შეედომები არ დაუშვია. მაგრამ ცალკეულ საკითხებში იყო ხარვეზები, რომლებმაც უარყოფითად იმოქმედა სახალხო მეურნეობის განვითარებაზე. მაგალითად, უკვე შეინიშნება ზადი ზოგიერთ კანონში, რისთვისაც საჭიროა მათი გარკვეული გადასინჯვა. ბევრი ნაკლოვანება გამომდინარეობს მბრძანებლურ-ადმინისტრაციულიდან ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლის პერიოდის თავისებურებიდან, წინანდელი მიდგომის პერიოდში ალბათ შეიძლებოდა, არ დაგვეშვა ზოგიერთი ჩავარდნა, მაგრამ ამ დროს შეირყეოდა ეკონომიკური რეფორმის საფუძვლები.

ვერ დაგპირდებით, რომ ერთ წელიწადში ძირეული ცვლილებები მოხდება ქვეყნის ეკონომიკაში, აღნიშნა ბოლოს ნ. ი. რიჟკოვმა, ეფიქრობ, რომ მომავალი წლის განმავლობაში შეიძლება გარკვეულად გაუმჯობესდეს სიტუაცია სამომხმარებლო ბაზარზე.

უპასუხა რა კითხვებს, ორატორმა აღნიშნა, რომ იგი პრინციპულად არის განწყობილი გიგანტომანიის წინააღმდეგ. სახალხო მეურნეობას სჭირდება საშუალო და პატარა საწარმოები — უფრო მოქნილი, რომლებიც უკეთ ეგუებიან ეკონომიკის, სამომხმარებლო ბაზრის საჭიროებებს. მაგრამ მეტად ფრთხილად უნდა მივუდგეთ ენერგეტიკის განვითარებას, რადგან იგი ეკონომიკური ზრდის საძირკველს წარმოადგენს. გარკვეული ცვლილებები უნდა შეეტანოთ დამტკიცებულ ენერგეტიკულ პროგრამაში თავის დროზე დაშვებული შეცდომების გათვალისწინებით.

ნ. ი. რიჟკოვმა აღნიშნა, რომ ბატონ-პატრონის გრძნობის აღორძინება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ თანდათანობით შეიცვლება დამოკიდებულება საკუთრების ფორმებისადმი, უფრო მეტად დაუკავშირდება შრომის ანაზღაურება მის საბოლოო შედეგებს. სამეურნეო ანგარიში ამასთან განვითარდება ქვემოდან ზემოთ, დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების რიცხვის შემცირების პარალელურად.

ორატორი შეეხო საკითხთა მთელ კომპლექსს, რომლებიც დაკავშირებულია ტერიტორიულ სამეურნეო ანგარიშთან, ცალკეული რესპუბლიკებისა და ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან. ჩვენ, აღნიშნა მან, მოვამზადეთ ეკონომიკური ანგარიში იმის შესახებ, თუ რა შეგვაქვს ყოველ მოკავშირე რესპუბლიკაში და რა გამოგვაქვს იქიდან, ამასთან მიმდინარე მსოფლიო ფასებით. მივიღეთ ობიექტური სურათი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ შემდგომ პერიოდში. მაგრამ მთავარია ის, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ერთიანი ეროვნული ეკონომიკური სივრცეში. [illegible] ეროვნული [illegible] ეროვნებათა [illegible] ეროვნებათა [illegible] ეროვნებათა

რეალური გარდაქმნის გზით

(დასასრული)

ასე რომ, აღნიშნა მან, საბოლოოდ ჩამოყალიბდა ეროვნებათა საბჭო როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შემადგენელი თანასწორუფლებიანი ნაწილი. ეს პალატა მხოლოდ ეროვნულ საქმეებთან და ეროვნებათაშორის ურთიერთობასთან დაკავშირებულ საკითხებს როდი გადაწყვეტს. კავშირის გამგებლობას მიკუთვნებული ყოველი საკითხი გაიკვლის ამ პალატას და მიიღებს თავის ეროვნულ ელფერს. ეს კი უწინარესად არის ეკონომიკური ხასიათის საკითხები, საბიუჯეტო საკითხები, ჩვენი კულტურის განვითარებასთან, მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხები. ეს გახლავთ საერთაშორისო ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხებიც. ეს არის ყველაზე ფართო სპექტრის საკითხები, რომლებზეც იმუშავებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო— სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და მაკონტროლებელი ორგანო. ძალზე ფართო ფუნქციებს, და მათგან მრავალს, კერძოდ, კანონმდებლობის, ბიუჯეტის დარგში, უბრალოდ ვერ გადაწყვეტს ისეთი ფართო ფორუმი, როგორიც ყრილობაა. მათ უნდა წყვეტდეს უფრო ვიწრო კოლეგია. ის კოლეგია, რომელიც მნიშვნელოვანწილად ჰგავს ლენინურ ცაკს (ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს), რომელსაც თავის დროზე საბჭოების ყრილობა იარჩევდა.

სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების ამ ორგანიზაციაში ძალზე დიდი როლი განეკუთვნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და კომისიებს. ასრულებს რა კონსტიტუციურ დებულებებს, ჩვენი ყრილობის პრეზიდიუმმა საკმაოდ ფართო ანალიტიკური მუშაობა გასწია. წინადადებათა ბოლომდე დამუშავების დროს ჩვენ ძალზე აქტიურად ვითვალისწინებდით თვით დეპუტატების შენიშვნებსა და სურვილებს.

ჯერ ერთი, ჩვენ ვხელმძღვანელობდით იმით, რომ პალატების შემადგენლობა შედარებით დიდი არ არის — 271 დეპუტატი თითოეულ პალატაში. და თუ ჩვენ დაუსრულებლად გავზრდით კომისიების რიცხვს, უბრალოდ ვერ შეეძლებთ უზრუნველვყოთ საჭირო ბალანსი, რომელიც ითვალისწინებს, რომ თითოეულ კომისიაში დაცული იყოს პროპორციანი—პალატის წევრთა და ყრილობის შემადგენლობაში შემავალ დეპუტატთა ნახევარი ნახევარზე.

მეორე, ჩვენ ვხელმძღვანელობდით იმით, რომ კომისიები არ შეიძლება იყვნენ მკაცრად დაკავშირებული სახელმწიფო მმართველობის დარგებთან, სხვაგვარად ეს ხელს შეუშლის მათი საპარლამენტო ფუნქციების შესრულებას.

მესამე, კომისიებისა და კომიტეტების შემადგენლობაში, უეჭველია, შეიქმნება ქვეკომისიები და ქვეკომიტეტები, რომლებიც ღრმად გააანალიზებენ სხვადასხვა საკითხს.

და ბოლოს, პალატების უხუცესთა საბჭოების სხდომაზე ჩვენ დავადგინეთ. საერთო აზრს იმის თაობაზე, რომ ერთ პალატაში კომისიების შექმნისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ მეორე პალატაში იმოქმედებს სხვა პროფილის კომისიები. კომიტეტებს კი. ჩამოვაყალიბებთ ერთობლივად. ესეიგი, ამ პრობლემას კომპლექსურად უნდა მივუდგეთ.

ორივე პალატის უხუცესთა საბჭოების სხდომაზე გულმოდგინედ გაიარა თავიანი პაკეტი წინადადებებმა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს უმაღლესი საბჭოს კომისიები და კომიტეტები. შემდეგ გაიმართა კავშირის საბჭოს პირველი სხდომა, სადაც ეს საკითხები დაწვრილებით განხილეს საკმაოდ მწვავე დისკუსიების ატმოსფეროში.

წინადადებაა, თითოეულ პალატაში შეიქმნას მუდმივი კომისიების თანაბარი რაოდენობა — ოთხ-ოთხი. ამავე დროს, როგორც ხაზგასმით აღინიშნა XIX პარტიულ კონფერენციაზე, უნდა უკუვაგდოთ პალატების ფუნქციური გაუპიროვნებლობა. ამავე დროს კავშირის საბჭომ, რომელიც საერთო-სახალხო ინტერესებს ასახავს, მთავარი ყურადღება უნდა დაუთმოს, უწინარეს ყოვლისა, საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებს, ხოლო ეროვნებათა საბჭოს უნდა ჰქონდეს თავისი პროფილი, რომელიც დაკავშირებული იქნება ერების, ეროვნებების, მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური და სხვა ფორმირებების განვითარებასთან.

კავშირის საბჭოს მიერ შექმნილი ზოგიერთი კომისიის სახელწოდებამ თავდაპირველ ვარიანტებთან შედარებით გახიცადა ცვლილებანი, და საკმაოდ არსებითიც. ეს ფორმის გულისთვის კი არ ხდება, არამედ ვცდილობთ უფრო ზუსტად განვსაზღვროთ მუშაობის საერთო-საკავშირო არსი, ესე იგი თავი მოვუყაროთ პრობლემების მძლავრ ლოკს, რომელთა გადაჭრა სცილდება რესპუბლიკური კომპეტენციის ფარგლებს, რეგიონალურ დონეს, და რომლებიც უნდა გადაჭრას კავშირმა მთლიანად.

რაც შეეხება ეროვნებათა საბჭოს მუდმივ კომისიებს, აქ საფუძვლად დადებულია აგრეთვე XIX პარტკონფერენციის დასკვნები. ამ პალატაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა გადაიჭრას საკითხები, რომლებსაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ ჩვენი ფედერაციის სუბიექტებთან, ავტონომიურ ფორმირებებთან, საბჭოთა ერებისა და ეროვნებების განვითარებასთან. აი რატომ არის, რომ პირველ პლანზე უხუცესთა საბჭოები გვთავაზობენ დავაყენოთ აქ ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომისია. ამ სფეროში ძალიან ბევრი საკითხი დაგროვდა, და ამას მოწმობს ჩვენი დღევანდელი სხდომა. ძალზე დიდი და, პირდაპირ ვიტყვით, ძალზე რთული მუშაობა მოგველის.

შემდეგი კომისიაა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების სოციალური და ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისია. ეს არის თითქოსდა საგეგმო-სამეურნეო კომისიის რესპუბლიკური, ეროვნული ასპექტი. ამ ორ კომისიას შეუძლია იმუშაოს ერთად, მაგრამ თითოეულ — თავისი თვალსაზრისით.

როგორც ჩანს, ეროვნებათა საბჭოს ამ კომისიას ექნება რამდენიმე ქვეკომისია, კერძოდ, ლაპარაკი იყო იმაზე, რომ მიზანშეწონილი იქნება გვქონდეს აქ ჩვენი ქვეყნის მცირერიცხოვანი ხალხების განვითარების საკითხთა სპეციალური ქვეკომისია. აქ ეს განსაკუთრებით საჭიროა, აქ გროვდება ყველა ეკონომიკური, სამეურნეო საკითხი, და ისინი აქ უნდა გადაწყდეს.

წინადადებაა შეიქმნას მეურნეობის იმ დარგების მუშაობასთან დაკავშირებული კომისია, რომლებიც ახლა მთლიანად გადაეცემა რესპუბლიკების გამგებლობას ამ ცოტა ხნის წინათ გამოკვეყნებული ახალი კონცეფციით. ეს არის სახალხო მოხმარების, ვაჭრობის, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და მოსახლეობის სხვა მომსახურების კომისია. აქ უამრავი პრობლემაა, და ისინი ძალზე საფუძვლიანად უნდა გადავჭრათ ეროვნული პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისითაც.

შემდეგი კომისიაა კულტურის, ენის, ნაციონალური და ინტერნაციონალური ტრადიციების, ისტორიული ძეგლთა დაცვის საკითხთა კომისია. აქ ვხელმძღვანელობდით იმით, რომ ჩვენი მრავალეროვნული კულტურის ფესვები მაინც გადგმულია თითოეული ერისა და ეროვნების განვითარებაში, რომ სწორედ ქვეყნის ყველა ხალხის კულტურებისაგან ყალიბდება ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა კულტურა. ამრიგად, ეროვნებათა საბჭოში, ისევე როგორც კავშირის საბჭოშიც, წინადადებაა, შეგქმნათ ოთხი კომისია.

ახლა კომიტეტების შესახებ. მათ, როგორც მოგეხსენებათ, შექმნეს ორივე პალატა პარიტეტულ საწყისებზე. პალატების უხუცესთა საბჭოებში, აგრეთვე კავშირის საბჭოს სხდომაზე ამ საკითხის განხილვის დროს შეტანილი გარკვეული კორექტივები თავდაპირველ ვარიანტებში. წინადადებაა, ჯერ ერთი, შეექმნათ საერთაშორისო საქმეთა კომიტეტი, რომელიც მოიცავს როგორც საგარეო-პოლიტიკურ, ისე საგარეოეკონომიკურ საკითხებს, იმუშავებს საპარლამენტთაშორისო კავშირურთიერთობის დარგში, ჰუმანიტარული თანამშრომლობის საკითხებზე.

შემდეგ არის თავდაცვისა და სახელმწიფო უშიშროების საკითხთა კომიტეტი. ეს საკითხები იმდენად მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ისინი ერთად უნდა გავაერთიანოთ. ამ კომიტეტის სტატუსს ექნება, როგორც საზღვარგარეთის ყველა პარლამენტში, განსაკუთრებული ხასიათი.

შემდეგი კომიტეტია კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტი. აი მთავარი კომიტეტი, რომელიც იმუშავებს სამართლებრივ საკითხებზე. და თქმა უნდა, იგი მაქსიმალურად იქნება დასაქმებული საკანონშეოროვტო სამუშაოებით, დაზეიწ საკანონმდებლო ფორმულირებებს, დებულებებს, მაგრამ ძალზე საჭიროა, რომ იგი დაკავშირებული იყოს ეკონომიკაში საქმის მდგომარეობასთან, მართლწესრიგთან.

მრავალი დეპუტატის აზრის საფუძველზე წინადადებაა, შეიქმნას სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის საკითხთა, მმართველობისა და თვითმმართველობის განვითარების კომიტეტი. იგი აბსოლუტურად აუცილებელია, რადგან უმაღლესი საბჭო ჩვენი ქვეყნის საბჭოების მთელი პირამიდის მწვერვალია და აქ უამრავი ურთულესი საკითხი უნდა გადაიჭრას.

შემდეგი კომიტეტი იმუშავებს ეკონომიკური რეფორმის საკითხებზე. იგი შეიქმნა დეპუტატთა წინადადებით.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული შეიქმნას მეცნიერების, სახალხო განათლებისა და აღზრდის ერთიანი კომიტეტი, ხალხის ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტი, ქალების საქმეთა, ოჯახის, დედისა და ბავშვის დაცვის კომიტეტი.

ორატორმა წინადადება წამოაყენა აგრეთვე შეიქმნას ვეტერანებისა და ინვალიდების საქმეთა, ახალგაზრდობის საქმეთა, ეკოლოგიის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხთა, საჯაროობის, მოქალაქეთა უფლებებისა და მიმართვების საკითხთა კომიტეტები.

რა თქმა უნდა, გაჩნდება მოთხოვნილება შეექმნათ სხვადასხვა ერთჯერადი კომიტეტი და კომისია. ყრილობამ უკვე შექმნა სამი კომისია კონკრეტულ მიმდინარე საკითხებზე და ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი დეპუტატი, ჩემი აზრით, სწორად ლაპარაკობდა იმაზე, რომ ახლა არ უნდა ვიჩქაროთ მკაცრად განვსაზღვროთ შესაქმნელი კომიტეტები და კომისიების რიცხვი. რეზერვად უნდა მოვიტოვოთ უფლება, რომ მოქნილად ვცვალოთ საჭიროების შემთხვევაში მათი პროფილი.

კომისიები და კომიტეტები, თქვა ორატორმა, შეიდგნენ ნაციონალურ-რომლებენ, განამტკიცებენ უმაღლესი საბჭოს და მისი პალატების მთელ მუშაობას სესიებს შორის პერიოდში, აქტიურად შეასრულებენ საკონტროლო, საკანონმდებლო ფუნქციებს, და, უეჭველია, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ჩვენი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მთელ მუშაობაში.

შემდეგ ა. ი. ლუკიანოვმა უპასუხა დეპუტატთა მრავალრიცხოვან კითხვებს.

განხილვაში მონაწილეობდნენ **ბ. ბ. გუმბარიძე, ვ. ა. ამბარცუმიანი, ბ. ლ. ბრონშტეინი, ვ. ი. ბელოვი, ნ. ვ. მელანდი, ტ. კ. ისმაილოვი, ხ. უ. კალანი, ი. ო. ბიშერი, ბ. ტ. პალაგნიუკი, რ. ბ. სალეკვაძე, ა. ი. დუბკო, ა. ა. ლახანოვი, ვ. ხ. ადვაძე, ბ. თ. რახმოვი, ლ. ი. ბატინსკაია** და სხვები.

ეროვნებათა საბჭომ განიხილა პალატის მუდმივი კომისიების შექმნის საკითხი, აგრეთვე წინადადებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტების შექმნის საკითხზე.

ამით ეროვნებათა საბჭოს პირველი სხდომა დამთავრდა.

7 ივნისს გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

(საპდესი).

მტკიცე, პრინციპულ პოზიციებზე

(გაგრძელება)

იქმნება შთაბეჭდილება, თქვა დეპუტატმა **ა. კ. მილოხერდინმ**, რომ ჩვენი მთავრობა, ცალკეულ გადაწყვეტილებებს რომ მიიღებს, წინასწარ არ ითვალისწინებს სვლებს. ეს გადაწყვეტილებები ყოველთვის არ არის უზრუნველყოფილი ფინანსებით, მატერიალური რესურსებით. ორატორის აზრით, ეკონომიკურმა რეფორმამ წინ ვერ წასწია ეკონომიკა, ცალკეულ საკითხებში მდგომარეობა გართულდა.

ორატორი შეეხო კომპიუტერიზაციის საკითხებს და აღნიშნა სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების სუსტი აღჭურვა ამ ტექნიკით. მან მხარი დაუჭირა ნ. ი. რიჟკოვის კანდიდატურას და გამოთქვა სურვილი, რომ მთავრობა უფრო ენერგიულად წყვეტდეს მრავალ საკითხს.

დეპუტატმა **ჯ. ხ. ოგანესიანმ** მადლობა გადაუხადა ნ. ი. რიჟკოვს იმისათვის, რომ ექსტრემალურ სიტუაციაში მან ბევრი რამ გააკეთა სომეხი ხალხისათვის. ორატორმა მხარი დაუჭირა მის კანდიდატურას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე.

ორატორმა მიმართა აგრეთვე თხოვნით გამოიტანონ არარატის ხეობიდან ქიმიური საწარმოები.

ქვეყანაში ჩამოყალიბდა საბაზრო-ტექნიკური პრიორიტეტები, განიცხადა დეპუტატმა **ჯ. ი. ტრეფილოვმა**. მან თქვა, რომ ამ-ქამად იწყება ძალთა კოხცენტრაცია ისეთ მიმართულებებზე, ურომლისოდაც ვერ დავძლევთ ეკონომიკურ სიძნელეებს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დეპუტატებმა სრული ნდობა გამოუცხადეს გარდაქმნის კაპიტანს მ. ს. გორბაჩოვს და მოუწოდა მათ დიხმარონ მას იმ ეკიპაჟის ჩამოყალიბებაში, რომელიც მას დღეს სჭირდება.

მინისტრთა საბჭოს სიყრუე წამყვანი სპეციალისტების, მეურნეობის მუშაკების, ეკონომისტების, იურისტების წინადადებებისადმი ბიუროკრატიული მუხრუჭების თაობაზე, რომლებსაც შეიცავდა კანონი სოციალისტური საწარმოს, კოოპერაციის და სხვათა შესახებ, გამოთქვა თავისი თვალსაზრისი დეპუტატმა **კ. დ. ლუბენენკომ**, იმის შედეგი კი არ არის, რომ ჩვენ რაღაც გამოგვრჩა, რომ ჩვენ არა გვიქვს გამოცდილება, არამედ იმის შედეგია, რომ ჩვენ შეგნებულად და მიზანდასახულად ვცდილობდით ამ კანონებში შეგვენარჩუნებინა რეგულირების ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდები. სხვაგვარად რით უნდა აიხსნას, რომ ეს საკანონმდებლო აქტები საკავშირო-შეიქმნა ეუფლებათა-სოციალურ-ზოგადი ფრაზებითა და პროპაგანდისტული ლოზუნგებით! [illegible] ინდისტული ლოზუნგებით! [illegible] ეს, მაგალითად, [illegible] ბის მომატების შესაძლებლობანიც.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მომავალი თავმჯდომარის კანდიდატურის განხილვის მიმდინარეობის გამო დაუკმაყოფილებლობა გამოთქვა დეპუტატმა **ა. ი. ჩაბანოვმა**, მას ხელს არ აძლევს, კერძოდ, ის, რომ დეპუტატთა კითხვებზე პასუხები არ არის მოცემული ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის სწრაფი გაუმჯობესების გარანტიები. მთავრობას დაავიწყდა კიდეც, განაცხადა ორატორმა, დიჩარიების ფაქტორი, და იმით გვანუგეშა, რომ მომდინარე ხუთწლედში შენარჩუნებულია არა მარტო ამ-ქამად მოქმედი კანონები, არამედ არასასიკეთო ტენდენციებიც.

დეპუტატმა **ა. ნ. საფონოვმა** გამოთქვა აზრი განხილვის წესის თაობაზე და განაცხადა, რომ ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხის გამო კამათისათვის, როგორიც არის მთავრობის პროგრამისა და მისი შემადგენლობის განხილვა, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მეტი დრო უნდა დაეთმო.

დეპუტატმა, რომელმაც თავი არ დასახელა, მხარი დაუჭირა ნ. ი. რიჟკოვის კანდიდატურას და განაცხადა, რომ პატივს სცემს მას უწინარესად საუცხოო ადამიანური თვისებებისათვის, ქვეყნის მოსახლეობის ყველა ფენაზე და განსაკუთრებით ქალების ბედზე ზრუნვისათვის. ამავე დროს მან თქვა, რომ უნდა გაუმჯობესდეს სოფლის მეურნეობაში, უპირველეს ყოვლისა მებამბეობაში, ფასწარმოქმნის სისტემა.

შემდეგ რამდენიმე დეპუტატმა მოკლე რეპლიკები გამოთქვა პროცედურულ საკითხებზე.

შეტანილი იყო წინადადება შეწყდეს დისკუსია. ორივე პალატის წევრებმა ხმის უმრავლესობით მხარი დაუჭირეს მას.

შემდეგ კენჭი უყარეს საკითხს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ **ნ. ი. რიჟკოვის** დანიშვნის შესახებ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორივე პალატის წევრებმა ხმის უმრავლესობით, 9-ე ხმა მისცა „წინააღმდეგ“ და 31-მა თავი შეიკავა, ხმა მისცეს **ნ. ი. რიჟკოვის** დანიშვნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. მას დაეკალა წარუდგინოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობის შესახებ.

(გაგრძელება შეგდეგ ნომერში).

ვკრიფოთ შეუფერხებლად, ხარისხიანად!

რესპუბლიკის სუბტროპიკული ზონის მეჩაიე რაიონებში მაისში გვალები დაიჭირა. მიწა გამოშრა, მცენარეებს გაუჭირდათ, აღმოცენება და ვეგეტაცია შეფერხდა, ჩაის დუყები ფუჭჩიჭით მჩატდება და ხარისხს კარგავს. ეს პროცესი ცხელმა ქარებმა უფრო დაჩქარა. შემდეგ ხშირ წვიმებს სიცივეები მოჰყვა. ერთი სიტყვით, აღმოსავლეთ საქართველოზე ბევრად ნაკლებად არც დასავლეთს უჭირს. და სწორედ ამიტომ ასეთ ელექტრმალურ პირობებში მართებთ მეჩაიეებს განსაკუთრებული მონდომება, სიბეჯითე, გეგზგილიანობა, რათა შემოდგომა-ზამთარ-გაზაფხულის სუსხიან ამინდებში ნასათუთარი, კარგად მოვლილი პლანტაციების უზვი მოსავალი უდანაკარგოდ აიღონ და გადამუშავეებელ მრეწველობას დროულად მიაწოდონ. სხვა გზა არ არსებობს, 450 ათასი ტონა ნედლეულის დამზადება მიმდინარე სეზონში, თანაც ამინდის რთულ პირობებში, იოლი საქმე როდია. მით უფრო, რომ ხარისხისთვის ბრძოლა უკომპრომისოდ გრძელდება.

არანაკლებ მოუღლელი გარჯა მართებთ ჩაის ფაბრიკების მუშებს, სპეციალისტებს, საჭიროა ნედლეულის გადამუშავების რთული ტექნოლოგია კომპლექსურად ამოქმედდეს, ყველაფერი უნდა გაკეთდეს მეჩაიეთა ნახელავის უზადო გადამუშავებისათვის. ნედლეულის გადამუშავებისას თუნდაც ერთი პროცესის შეფერხებაც კი პროდუქციაზე უარყოფითად იმოქმედებს, ხარისხს დაუკარგავს.

ახლა მთავარია ნედლეულის უდანაკარგოდ აღება, თორემ იგი მეორე ვეგეტაციასაც შეაფერხებს. ამიტომ სუბტროპიკული ზონის რაისაბჭოს აღმასკომების, აგროსამრეწველო გაერთიანებების მუშაკების გადაუდებელი ამოცანაა მეჩაიეებს დაეხმარონ მუშახელით, მობილიზაცია გაუკეთონ შრომითს რესურსებს, რათა ბუჩქზე არც ერთი დუყი მოუკრეფავი არ დარჩეს. ამის პარალელურად მთელი რიგი ღონისძიებებია განსახორციელებელი—ბუჩქთა შორის ნიადაგის გაფხვიერება, სარეველების წინააღმდეგ ბრძოლა, დასამტვერი სასუქების შეტანა და სხვ.

კოლხეთის ფიცხი მიწები გვალვისას უთუოდ უნდა ირწყვებოდეს, რადგან ჩაი, სუბტროპიკული კულტურა დიდი რაოდენობით ტენს მოითხოვს. სადაც სარწყავი სისტემები გამართულად მუშაობს, იქ საქმეც კარგად მიდის.

ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობაში კვლავაც აკრძალული ხელსაწყოებით იკრიფება ჩაის ფოთოლი. ამის წინააღმდეგ განსაკუთრებული ბრძოლა გემართებს. არავის არა აქვს უფლება ასეთ მოვლენას გულგრილად მოეკიდოს. ამაზე პირველ რიგში ყურადღება უნდა გაამახვილონ თვით მეურნეობათა ხელმძღვანელებმა, სპეციალისტებმა, სახალხო კონტროლიორებმა, პირველადმა პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, ყველამ, ვინც დაკავშირებულია ჩაის ნედლეულისა და მისი პროდუქციის წარმოებასთან.

რესპუბლიკის სახაგრომრეწვის ოპერატიული ინფორმაციით 5 ივნისისათვის სეზონის დაწყებიდან დამზადებულ 123.034 ტონა ნედლეულში პირველი ხარისხის ფოთლის ხვედრითი წილი 65 პროცენტია. ეს ურიგო მაჩვენებელი არ არის, მაგრამ იგი თვითდამშვიდების უფლებას არ გვაძლევს. ამ მხრივ რესპუბლიკის საერთო მაჩვენებელზე უკეთესი შედეგები აქვთ აფხაზეთის (68,5 პროცენტი), ხობის, სენაკის, წალენჯიხის, მარტვილის, აბაშისა და ვანის, ქალაქების წყალტუბოს, ტყიბულის და ჭიათურის ზონის მეჩაიეებს (70-დან 78 პროცენტამდე). მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით ბევრი რაიონის მისამართით, რომლებმაც რადიკალურად უნდა გარდაქმნან მუშაობა.

ჩაის ხარისხის გაუარესების თავიდან ასაცილებლად საქართველოს სახაგრომრეწვამ მიიღო ჩაის წარმოების ტექნოლოგიის დარღვევის ფაქტების აღკვეთის ზომები მისი გამომუშავების ყველა ეტაპზე — ჩაის ფოთლის კრეფით დაწყებული და დამთავრებული მზა პროდუქციის მიღებით. აგრომრეწვის, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების სპეციალისტებს დავალათ მოკლე ვადებში შეისწავლონ საქმის ვითარება ცალ-ცალკე თითოეულ მეურნეობაში და ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით სასწრაფო ღონისძიებებიც განახორციელონ.

იგივე ოპერატიული ინფორმაციით 7 ივნისისათვის, სეზონის დაწყებიდან, სულ დამზადებული იყო და გადამმუშავებელ მრეწველობას ჩაბარდა 132.706 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 46.393 ტონით მეტია. 6 ივნისს სუბტროპიკული ზონის საბჭოთა მეურნეობებში დამზადდა 4.610 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

აჭარაში დღემდე სულ ძოკრეფილია 19.395 ტონა ნედლეული, აფხაზეთში — 23.967, ოზურგეთში — 22.872, ზუგდიდში — 16.772, ჩოხატაურში — 4.023, ლანჩხუთში — 7.726, ხობში — 2.390, სამტრედიაში — 728, ვანში — 297, ქ. წყალტუბოს ზონაში — 2.841, თერჯოლაში — 336, ქ. ჭიათურის ზონაში — 269, ქ. ტყიბულის ზონაში — 2.446, სენაკში — 3.154, აბაშაში — 75, ხობში — 3.125, მარტვილში — 7.878, წალენჯიხაში — 7.454, ჩხოროწყუში — 6.927 და ზესტაფონში — 31 ტონა.

დრო ახლა განსაკუთრებით ძვირად ფასობს. საჭიროა ელექტრომალური კლიმატური პირობების გათვალისწინებით გონივრულად გამოვიყენოთ ყოველი დღე, ყოველი საათი, ყველაფერი ვიღონოთ ნედლეულის უდანაკარგოდ აღებისა და ხარისხის რადიკალური გაუმჯობესებისათვის.

„კომუნისტის“ ეკონომიკის განყოფილება.

რწყვის ტემპი უნდა დაჩქარდეს

კახეთ გლეხს მოსავლის მოყვანისას მუდამ ემს ორი მტერი უტევს — სეტყვა და გვალვა. წლეულს ერთმაც და მეორემაც უკვე მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა თელავის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს. 6 მაისს მოსულმა სეტყვამ ვარდისუბნელებსა და ლალისყურელებს 484 ტონა ყურძენი დააკარგვინა, რაც ფულად გამოსახულებაში 326 ათას მანეთს უდრის. ამას ემატება ასობით ჰექტარზე დაზიანებული საშემოდგომო თე საგაზაფხულო ნათესები და ხეხილის ბაღები.

ლალისყურელები არსებითად დაუზარალა გვალვამაც. ქერი და ხორბალი გადაიწვა ორასზე მეტ ჰექტარზე. მნიშვნელოვანი ფართობების გადათესვა მოუხდათ რეისპირელ, ნაფარეულელ, ყარაჯელ მემინდვრეებსაც. მაგრამ ვერც ეს ღონისძიება მოგვცემს სათანადო შედეგს, თუ მიწათმოქმედები სრულად არ გამოიყენებენ რწყვის შესაძლებლობებს. ამ თვალსაზრისით რაიონში მრავალი საშუალება არსებობს — ზემოალაზნის და ნაურდლის სარწყავი სისტემები, ოცი მძრავი სარწყავი დანადგარი და სხვ.

მთლიანი სარწყავი ფართობი 82.434 ჰექტარია. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ფაქტობრივად გაცილებით ნაკლები ფართობი ირწყვება, რაც თავის დროზე „ალაზანმშენის“ ტრესტის მშენებელთა მიერ შესრულებულ სამუშაოთა უხარისხობის, ამჟამად კი მომხმარებელთა მიერ წყლის ქსელების არასწორი ექსპლოატაციის შედეგია. ასეა თუ ისე, ადრე დაშვებული შეცდომები უნდა გასწორდეს, რათა მოვახერხოთ სარწყავი ფართობებიდან გარანტირებული მოსავლის მიღება. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი იმ მძიმე ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება, რომელშიც ამჟამად თელავის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები იმყოფებიან. მათ სადღესოდ გადაუხდელი აქვთ 6,7 მილიონი მანეთი, რაც ხელს უშლის სოფლის მეურნეობის სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსება-თვითნაზღაურებაზე გადაყვანას.

მაგრამ აქვე უსათუოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შრომისა და ანაზღაურების ისეთი პროგრესული ფორმების დანერგვამ, როგორიც არის ჯარა და სანარდო ურთიერთობა, მნიშვნელოვნად შეცვალა სოფლის მეურნეობის მუშაკთა დამოკიდებულება მიწისა და ყველა იმ სიუალებისადმი, რომელთა სრული და გონივრული გამოყენება პროდუქტების სიუხვის მიღწევის ერთ-ერთი მთავარი წყაროა.

ამიტომ მეტად საგრძნობია კონტროლის ზრდა „ქვემოდან“ ყველა იმ სამსახურის მიმართ, რომლებზეც მოსავლის ბედია დამოკიდებული. განსაკუთრებით დიდია მოთხოვნები მელიორატორებისადმი.

— მოიჯარე არ გვაპატიებს ნაკლოვანებებს, — გვეუბნება თელავის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი მიხეილ არინდაული. — ამიტომ ვცდილობთ ფეხი აუწყოთ დროის მოთხოვნებს, მაქსიმალურად უზრუნველვყოთ წყლით ვენახები და ნათესები.

სამუშაო მართლაც ბევრი აქვთ სამმართველოს მუშაკებს, რომლებიც გარდა თელავისა, აზმტის რაიონის სოზოგადოებრივ მეურნეობებსაც ემსახურებიან. ისიც უნდა ითქვას, რომ მათ ბევრი წინააღმდეგობა აქვთ. მაგალითად, ყოველწლიური მოთხოვნის მიუხედავად, მელიორატორები ჯერ-ჯერობით ვერ მარაგდებიან ცემენტით, სხვა საშენი მასალებით, რის გამოც ჭირს არხებისა და სხვა ირიგაციულ ნაგებობათა შეკეთება. იგივე მასალების ნაკლებობას განიცდიან საზოგადოებრივი მეურნეობებიც. არადა, მოსაწესრიგებელია ქსელების მნიშვნელოვანი ნაწილი.

სულ ახლახან შექმნილი ფირმა „ნაფარეული“ 839 ჰექტარი ვენახის მფლობელია. მთლიანი ფართობი სარწყავში ეთვლებათ, ნაფარეულელთა ზვარი ნაურდლის არხით უნდა მოიარწყოს, მაგრამ, როგორც რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების მიერ ამ დღეებში მოწყობილმა შემოწმებამ დაადგინა, სარწყავი ქსელის მერვე კოლექტორზე ჩალაგებული აზბესტცემენტის მილი შვიდგან ორის დაზიანებული, მეცხრეზე — სამგან და ა.შ. სარწყავი ქსელი მოუვლელი იმიტომაც არის, რომ იგი ამჟამად არავის ბალანსზე არ ირიცხება. თუმცა ნაურდლის სარწყავი სისტემა 1985-1986 წლებში ამოქმედდა, ახლა ირკვევა, რომ იგი მრავალი ხარვეზით გადაეცა საექსპლუატაციოდ. ამაზე მეტყველებს ფშავლის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე არსებული ორი განმანაწილებელი ჭაც, სადაც ანაკლე ყველი სარწყავად გათვალისწინებულ ფართობებამდე ვერ აღწევს. ერთი სიტყვით, საჭიროა ნაურდლის სარწყავ ქსელს, რომელიც რაიონის ხუთ საზოგადოებრივ მეურნეობას ემსახურება, დაუკანონდეს პატრონი, თუნდაც იმავე საზოგადოებრივ მეურნეობათა სახით, რათა მათ საშუალება მიეცეთ, მელიორაციის სამმართველოსთან სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე, მოაწესრიგონ ქსელი.

ამჟამად რაიონში ძირითადად ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახები, სიმინდი და ბოსტნეული ირწყვება. წყალს ელის მრავალწლიანი ნარგავებიც. ტემპის დაჩქარება იმიტომაც არის საჭირო, რომ იულის-აგვისტოში მოსალოდნელია არხებში წყლის კლება, ამიტომ აუცილებელია ყველა საშუალებისა და რეზერვის ამოქმედება მოსავლის გადასარჩენად. საამისოდ კი თელაველებს დაძაბული მუშაობა მართებთ.

ზურაბ არსენიშვილი,
„კომუნისტის“ სკ. კორ.

გადასახადის განაკვეთები და კოოპერატივები

ბაზეთ „კომუნისტის“ 25 მაისს ნომერში გამოქვეყნებული ბრძანებულების პროექტი „კოოპერატივების საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამავე სახელწოდების ბრძანებულებიდან გამომდინარეობს.

გასაგებია, რომ ბრძანებულებით გათვალისწინებული გადასახადის ოდენობის 80-პროცენტამდე გაზრდა მიზნად ისახავს აღკვეთოს იმ კოოპერატივთა საქმიანობა, რომლებიც სახალხო მოხმარების საქონლითა და მომსახურების სხვადასხვა ფორმით მოსახლეობის მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას კი არ ემსახურებიან, არამედ ძირითადად პირადი გამდიდრებისათვის იღვწიან. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შემოსავლებიდან გადასახადის ასეთი მძიმე პირობები უკიდურესად ცუდ ფინანსურ მდგომარეობაში ჩააყენებს ყველა კოოპერატივს, რომლებიც საბოლოოდ იძულებულნი იქნებიან შეწყვიტონ არს

რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც 1918 წლის 26 მაისს დეკლარაციით გამოცხადდა, ნებერგიულად იბრძოდა, რომ მოეპოვებინა საერთაშორისო, იურიდიული აღიარება. მთელი 1919-1920 წლის მანძილზე მთავრობის დელეგაცია პარიზის საბავო კონფერენციის მონაწილე დიდ სახელმწიფოებს ხთხოვდა ეცნოთ დამოუკიდებელი საქართველო „დე ფაქტოდ“ და „დე იურედ“, მაგრამ ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის „კონფერენციის შტატების, იტალიისა და სხვა ქვეყნების ოფიციალური წარმომადგენლობა ამ კონფერენციაზე ფეხს ითრევდა, აბეიანურებდა ამ მიმართულებით კონკრეტულ გადაწყვეტილებას. მრავალ მიზეზთაგან მთავარი მაინც ის იყო, რომ ანტანტის ქვეყნები ელოდნენ წარმატებას იმ ლაშქრობებისა, რომლებიც კოლჩაკმა, დენიკინმა, იუდენიჩმა, ვრანგელმა და სხვებმა წამოიწყეს საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ. ყველა ეს თეთრი გენერალი „მთლიანი და განუყოფელი რუსეთის“ ლოზუნგით გამოდიოდა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება იმას ნიშნავდა, რომ ანტანტა უპირისპირდებოდა მოსარკისტული რუსეთის ინტერესებს, რომლის განუყოფელ ნაწილად, მათი აზრით, საქართველოც წარმოიდგინებოდა.

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკა პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც ოფიციალურად აღიარა საქართველოს დამოუკიდებელი და დემოკრატიული რესპუბლიკა როგორც კანონიერი სახელმწიფო და 1920 წლის 7 მაისს დასდო მასთან სამშვიდობო ხელშეკრულება.

ხელშეკრულების შესახებ პირველი ინფორმაციული ცნობა 11 მაისს გამოაქვეყნეს მენშევიკური პარტიის ოფიციოზში „საერთაშორისო“ („ზავი საბჭოთა რუსეთთან“) და იმ პერიოდის სხვა გაზეთებში. 1920 წლის 11 ივნისს „ერთობამ“ (№125) გამოაქვეყნა „სამშვიდობო ხელშეკრულების“ ტექსტის ქართული თარგმანი (რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ), მაგრამ ტექსტში არ ყოფილა შეტანილი განსაკუთრებული საიდუმლო დამატება ამ ხელშეკრულებისა, რომელიც ორ სტატიას შეიცავს და მიუთითებს საქართველოს ვალდებულებაზე, აღიაროს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი კომუნისტური ორგანიზაციების თავისუფალი არსებობისა და მოქმედების უფლება. კერძოდ, კრებების თავისუფლად მოწყობის უფლება და თავისუფალი გამომცემლობის (მათ შორის ბეჭდვითი ორგანოების გამოცემის) უფლება. დამატებითი ოთვალისწინებდა აგრეთვე ყოველგვარი რეპრესიებისაგან ამ პირთა განთავისუფლებას, რომლებიც ეწეოდნენ კომუნისტური პარტიის პროგრამის პირად პროპაგანდას. „ერთობაში“ გამოქვეყნებულ ქართულ ტექსტში შეტანილი არ იყო აგრეთვე ხელშეკრულების მეხუთე მუხლის მეოთე პუნქტი, რომელიც ასეა ქვეყნდება.

დამატებების ეს ტექსტი რუსულ ენაზე გამოქვეყნებულია წიგნში „Российская социалистическая федеративная советская республика и Грузинская демократическая республика», М. 1922 г. стр. 16. ხელშეკრულების რუსული ტექსტი (საგანგებო საიდუმლო დამატების გარეშე) გამოქვეყნებულია დოკუმენტების კრებულში «Борьба за победу Советской власти в Грузии». 1958 г. стр. 563—568.

ხელშეკრულების დედანი, რომელიც ხელთ ჰქონდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, 1921 წლის მარტში ამ მთავრობის სხვა დოკუმენტებთან ერთად გადასვლილ იქნა პარიზში. საზოგადოებრიობისათვის ცნობილია, რომ პარიზის ემიგრაციის მძიმე პირობებში ამ დოკუმენტებს საფრთხე დაემუქრა და ქართულმა ემიგრაციულმა სათვისტომომ მარგარდის უნივერსიტეტთან ერთად ითავა მისი მიკროფირება და მიკროფირის ცალი გადაეცა მარგარდის უნივერსიტეტს. ამგვარად, დღეისათვის მარგარდის უნივერსიტეტში დაცულია ამ ხელშეკრულების მიკროფირი, დედანი კი პარიზში ინახება. შესაძლებელია ეს ტექსტი იყოს იმ მიკროფირებში, რომელიც პარიზის ქართულმა სათვისტომომ გასულ წელს გადმოსცა საქართველოს საისტორიო არქივს, მაგრამ ეს მასალა ჯერჯერობით არ არის სისტემატიზებული და, სამწუხაროდ, მიუწვდომელია მკვლევარისათვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სსრ კავშირის ისტორიის კათედრამ შარშან მარგარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ქართული ფონდებზე სამუშაოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში მიავლინა კათედრის წევრი ავთანდილ მენთეშაშვილი. მან მიაგნო ხელშეკრულების დედნის მიკროფირს, რომელსაც ამჟამად სრულად ვაქვეყნებთ.

ხელშეკრულების ტექსტს წინ უძღვის დოკუმენტი ვ. ი. ლენინისა და გ. ჩიჩერინის ხელმოწერით, რომელიც ლ. კარახანს აძლევს რწმუნებას ხელი მოაწეროს საქართველოს რესპუბლიკასთან სამშვიდობო ხელშეკრულებას რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მხრივ. აქ ნათქვამია:

რწმუნებულება

რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობისა და საქართველოს დემოკრატიული მთავრობის შეთანხმების შესაბამისად, რომ დაიდოს მეგობრობის ხელშეკრულება, რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ აღნიშნული ხელშეკრულების დადების თაობაზე მოლაპარაკების წარმოების რწმუნებულებანი მიანიჭა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეს ლევ მიხეილის ძე კარახანს, რომელიც უფლემოსილია იმათთან, ვისაც საჭიროა რწმუნებებს მიანიჭებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თავრობა, ხელი მოაწეროს ამ მოლაპარაკების შედეგად შემუშავებულ ხელშეკრულებას, რომელიც რუსეთისათვის სავალდებულო იქნება უკვე ხელმოწერის ძალით, საგანგებო რატიფიკაციის გარეშე.

ამის დასადასტურებლად რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ხელი მოაწერა ამ რწმუნებულებას და ბრძანა დამტკიცდეს იგი შესაბამისი ბეჭდით.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი).

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი
გიორგი ჩიჩერინი.

ხელშეკრულებას წინ უძღვის ოქმი, რომელშიც ნათქვამია:

ოქმი

ქვემორე ხელისმომწერებმა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრმა გრიგოლ ილარიონის ძე ურატაძემ და რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ლევ მიხეილის ძე კარახანმა, ხელი მოაწერეს რა აღნიშნულ დღეს თავიანთი მთავრობების რწმუნებულებათა საფუძველზე ამა წლის 28 აპრილიდან 6 მაისამდე მათ შორის მიმდინარე მოლაპარაკების შედეგად შემუშავებულ საქართველოს და რუსეთის ხელშეკრულებას, თავიანთი მთავრობებისაგან მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, თითოეულმა მიიღო აღნიშნული ხელშეკრულების თითო დედანი ოქმი თავიანთი მთავრობისათვის გადასაცემად.

ამასთან, ორივე ხელშემკვრელი მხარე შეთანხმდა, რომ დღეს ხელმოწერილ ხელშეკრულებას ორივე ხელშემკვრელი მხარე დაუყოვნებლივ გამოაქვეყნებს მთლიანად, გარდა V მუხლის მე-10 პუნქტისა, რომელიც ხელმოწერის დღიდან ორი კვირის განვლის შემდეგ გამოქვეყნდება.

ამის დასადასტურებლად ქვემორე ხელისმომწერებმა შეადგინეს ეს ოქმი და დამტკიცეს თავიანთი ბეჭდებით.

შედგენილია მოსკოვში, ორ ეგზემპლარად, ათას ცხრაას ოცი წლის 7 მაისს.

გ. ურატაძე. ლ. კარახანი.

საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკამ ერთის მხრით, და რუსეთის სოციალისტურმა ფედერატიულმა საბჭოთა რესპუბლიკამ მეორე მხრით, ხელმძღვანელობდნენ რა საერთო სურვილით დამყარონ ორივე ქვეყნის შორის მეგობრული და მშვიდობიანი ურთიერთობა ხსენებულ ქვეყნების მცხოვრებთა საკეთილდღეოდ, გადასწყვიტეს შეკრან ამ მიზნით განსაკუთრებული ხელშეკრულება და დანიშნეს თავის რწმუნებულად: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ილარიონისძე ურატაძე და რუსეთის სოციალისტურმა ფედერატიულმა საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ლევ მიხეილისძე კარახანი. ხსენებულმა რწმუნებულებმა ა�oხეს რა ერთმანეთს თავის რწმუნებულების შესახებ, რომელიც აძლევდა მათ აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის უფლებას, შეთანხმებულ ვემომოყვანილ მუხლებში:

მუხლი I.

გამოდის რა რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის მიერ ყველა ერთა თავისუფალ , თვითგამორკვევის უფლების აღიარებიდან სრულ გამოყოფის უფლებამდე იმ სახელმწიფოებიან, რომლის შემადგენლობაშიც ეს ერები შედიან, რუსეთი ყოველ პირობის გარეშე აცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას, და თავის ნებით იღებს ხელს ყოველგვარ სუიერენულ უფლებებზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოს ხალხსა და ქვეყნის მიმართ.

მუხლი II.

გამოდის რა ხსენებულ ხელშეკრულების მუხლში აღიარებულ პრინციპებიდან, რუსეთი ვალდებულად ხდის თავს ხელი აიღოს საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევაზე.

მუხლი III.

1) სახელმწიფო საზღვარი საქართველოს და რუსეთს შორის გადის შავი ზღვიდან მდინარე პსოუს გასწვრივ ასახჩის მთამდე, გადადის ხსენებულ ასახჩისა და აგაპეტის მთაზე და მიდის ყოფილ შავი ზღვის, ქუთაისის და თფილისის გუბერნიების ჩრდილოეთის საზღვრით ზაქათალის ოლქამდე და ხსენებულ ოლქის აღმოსავლეთ საზღვრით მიდის სომხეთის საზღვრებამდე.

2) ყველა უღელტეხილი, მდებარე აღნიშნულ მოსაზღვრე ხაზზე 1922 წ. პირველ იანვრამდე ნეიტრალურად არის აღიარებული. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება დაიკავოს ეს უღელტეხილები თავის ჯარებით ან-და გამაგროს ისინი.

3) დარიალის უღელტეხილზე, ამ მუხლის მეორე პუნქტში აღნიშნული ნეიტრალიზაცია გავრცელდება ბალთიდან კობამდე, მამისონის უღელტეხილზე ზარამაგიდან ონამდე, და ყველა სხვა უღელტეხილებზე ხუთი ვერსის მანძილზე ორივე მხრით აღებული იმ პუნქტიდან, სადაც საზღვარი გადის.

4) სახელმწიფო საზღვარის სწორ გაყვანას ორ ხელშემკვრელ მხარის შორის, მოახდენს განსაკუთრებული მოსაზღვრე შერეული კომისია, რომელშიაც შევა ერთნაირი რიცხვი ორივე მხრიდან. ხსენებული კომისიის მუშაობის შედეგი დამტკიცებული იქნება ორივე ხელშემკვრელ მხარის შორის დადებულ განსაკუთრებული ხელშეკრულებით.

მუხლი IV.

1) რუსეთი ვალდებულია აღიაროს საქართველოს რესპუბლიკის უდავო შემადგენელ ნაწილებად გარდა შავი ზღვის გუბერნიის ნაწილებისა, რომელნიც გადადის საქართველოს ხელშეკრულების ხსენებულ ხელშეკრულების პირველ და მესამე მუხლების ძალით, აგრეთვე ქვემოთ ჩამოთვლილი გუბერნიები და რუსეთის სახელმწიფოს ყოფილი ოლქები: თფილისის, ქუთაისის და ბათომის ყველა მაზრებით და ოლქებით, რომლებიც შეადგენენ ხსენებულ გუბერნიებს და აგრეთვე ზაქათალის და სოხუმის ოლქები.

2) შემდეგში, ურთიერთობის თანდათანობითი გამორკვევის მიხედვით საქართველოს და რუსეთს გარდა სხვა სახელმწიფოს ერთეულებს შორის, რომელნიც არსებობენ ან შესაძლებელია შეიქმნენ საქართველოს სხვა საზღვრებთან, გარდა იმისა, რომელიც აწერილია ხსენებულ ხელშეკრულების მესამე მუხლში, რუსეთი მზათ იქნება იცნოს საქართველოს შემადგენელ ნაწილად ყოფილ კავკასიის სანამესტნიკოს ესა თუ ის ნაწილი, რომელიც გადავა მის ხელში ამ სახელმწიფო ერთეულებთან დადებულ ხელშეკრულების ძალით.

მუხლი V.

აღიარებს რა სამართლიანად რუსეთის მოთხოვნილებას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე რა-იმე სამხედრო ოპერაცია, არსებობა სამხედრო ძალათა და სხვა მომქმედებათა, რომელთაც შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიაზე შექმნან პირობანი დამოკიდებისა რუსეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ანდა საქართველოს ტერიტორიის გახდის სამხედრო ოპერაციების ბაზად, რომელიც მიმართული იქნება რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ან მასთან კავშირში მყოფ სახელმწიფოს და მასში არსებულ სახელმწიფოებრივ წესწყობილების წინააღმდეგ, საქართველო ვალდებულად ხდის თავს მოახდინოს:

1) დაუყოვნებლივი განიარაღება და კონცენტრაციულ ბანაკებში მოთავსება ამა საბავო ხელშეკრულების ხელის მოწერის დროს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფთა, თუ კი ასეთები აღმოჩნდებიან, ან სამხედრო და საზღვაო-სამხედრო ნაწილებ ი ს, კომანდებისა და ჯგუფების, რომელნიც მომავალში შესაძლოა მის საზღვრებში გადავიდენ და რომელნიც რუსეთის მთავრობის პრეტენდენტის როლში გამოვლენ, აგრეთვე წარმომადგენლობისა და თანამდებობის პირთა, ორგანიზაციებისა და ჯგუფებისა, რომელთაც მიზნათ ექნებათ რუსეთის, ან მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობის ძირს ჩამოგდება.

2) დაუყოვნებლივი განიარაღება და დაკავება საქართველოს ნავთსადგურებში მყოფ გემებისა, რომელიც შედის ამა მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ორგანიზაციებისა და ჯგუფების საზღვაო სამხედრო ძალთა შემადგენლობაში და აგრეთვე, რომელიც ამა თუ იმ მოსაზრებით ამ ორგანიზაციების და ჯგუფების განკარგულებაშია და საქართველოს ნავთსადგურებში იმყოფება. ამ გემების ეკიპაჟის მიმართ სავსებით უნდა განხორციელდეს ამა მუხლის პირველი პუნქტის დადგენილება.

3) ყოველგვარ ჯილდოს მოუთხოვნელად და სრულებით უფასოდ გადაეცეს რუსეთს ყველა სამხედრო და საზღვაო-სამხედრო ქონება, ღირებულებანი და ფულის თანხები, რომელნიც ამა მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ორგანიზაციათა და ჯგუფების მფლობელობასა, სარგებლობასა და განკარგულებაში იმყოფება. ამ მუხლის თანახმად სამხედრო და საზღვაო-სამხედრო ქონებათ იგულისხმება: გემები და სხვა სანაოსნო საშუალებანი და არტილერიის, საინტენდანტოს (მათ შორის სასურსათო და ნივთიერი დაკმაყოფილების) საინჟენერო და საავიაციო მოწყობილებანი.

4) განიარაღების შემდეგ გადაეცეს რუსეთს ამა მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ნაწილები, ორგანიზაციები, ჯგუფები და გემების ეკიპაჟი.

შენიშვნა: რუსეთი პირობას იძლევა, რომ იგი ამ მუხლის ძალით გადაცემულ ყველა პირს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს.

5) მიიღოს ზომები და განდევნოს საქართველოს ტერიტორიის საზღვრებიდან, რომელიც ამ ხელშეკრულების მეოთხე მუხლით არის განსაზღვრული, ყოველგვარი ჯარი და სამხედრო რაზმები, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ჯარების შემადგენლობაში არ შედის.

6) მიღებულ იქნას ზომები, რომ მომავალში არ დაუშვან საქართველოს ტერიტორიაზე ინ ჯარებისა და სამხედრო რაზმების არსებობა, რომელნიც ამა მუხლში მეხუთე პუნქტშია აღნიშნული.

7) იმ პირებს, რომელნიც ამა მუხლის პირველსა და მეხუთე პუნქტში ჩათვლილ ორგანიზაციებს, ჯგუფებსა და ნაწილებს ეკუთვნიან, რამდენადაც ეს პირები თავისი ეროვნებით არ არიან ქართველები, აღეკრძალოს რა სახითაც არ უნდა იყოს, მათ შორის სახალხო მოხალისეთ, საქართველოს სახელმწიფო ჯარში შესვლა.

8) ტერიტორიის იმ საზღვრებში, რომელიც დადგენილია ამა ხელშეკრულების მეოთხე მუხლით, მომავალში არ მისცენ შედგენისა და არსებობის საშუალება რაიმე ორგანიზაციებს და ჯგუფებს, რომელნიც თავის თავს აცხადებენ რუსეთის ან მისი ნაწილის მთავრობის, ანდა რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოს როლში, აგრეთვე არ მისცენ შედგენისა და არსებობის საშუალება წარმომადგენლობებს და თანამდებობის პირთ. ორგანიზაციებს და ჯგუფებს, რომელთაც მიზნათ ექნებათ რუსეთის ან მასთან კავშირში მყოფ სახელმწიფოთა მთავრობის ჩამოგდება. ამასთანავე, საქართველო ვალად იღებს არ დაუშვას ზემოაღნიშნულ ორგანიზაციების, ჯგუფების, წარმომადგენლობისა და თანამდებობის პირთა მიერ საქართველოს ტერიტორიით გატანა ყველაფერი იმისა, რითაც შეიძლება ისარგებლონ რუსეთზე და მის მოკავშირე სახელმწიფოებზე თავდასასხმელად. აგრეთვე აეკრძალოს თავის ნავთსადგურებსა და წყლებში ამგვარ ორგანიზაციათა გემებისა და სხვა სანაოსნო საშუალებათა არსებობა, გარდა საერთაშორისო სამართლით დადგენილი შემთხვევებისა იმ გემების მიმართ, რომლებიც იღუპებიან ან სხვა.

9) იმ შემთხვევაში, თუ ამა მუხლის მერვე პუნქტში აღნიშნულ ორგანიზაციების, ჯგუფებისა, წარმომადგენლობისა და თანამდებობის პირთა მიერ მოხდება მერვე პუნქტში აღნიშნულ აკრძალვათა დარღვევის ცდა, იმ პირებსა და ქონებას, რომელიც საქართველოს მთავრობისაგან მის მიერ ამა მუხლის მერვე პუნქტით თავის თავზე მიღებულ ვალდებულების ძალით იქნება დაკავებული, ამა მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნულ პირობის თანახმად მოეპყრობიან.

10) ამ მუხლის მე-5 პუნქტით დათქმული ღონისძიებების შესრულება უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ ხელშეკრულების ხელისმოწერისთანავე. საქართველო ვალდებულებას კისრულობს უმოკლეს ვადაში შეიარაღებული ძალის გამოყენებით.

მუხლი VI.

რუსეთი ვალდებულია არ მისცეს უფლება მის ტერიტორიაზე ყოფნისა და მოქმედების არავითარ ჯგუფსა და ორგანიზაციას, რომელიც საქართველოს მთავრობის, ანუ მის ნაწილის მთავრობის როლს მიითვისებენ, და აგრეთვე იმ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც თავის მიზნათ საქართველოს მთავრობის დამხობა ექნება დასახული. რუსეთი ვალდებულია იქონიოს სავსებით თავისი გავლენა მის მოკავშირე სახელმწიფოებზე, რათა მათს ტერიტორიაზე არ დაუშვან არსებობა ამ მუხლში აღნიშნულ ჯგუფებისა და ორგანიზაციების.

მუხლი VII.

შესაძლო გაუგებრობის ასაცილებლად ორივე ხელშემკვრელი მხარე შეთანხმდა, რომ ამ ხელშეკრულების მეხუთე მუხლის მეხუთე და მეექვსე პუნქტების განხორციელების დროს საქართველოს ნაწილებში, რომლებიც მას უნდა შეუერთდნენ ამ ხელშეკრულების ბეოთხე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, როდესაც მეზობელ სახელმწიფოებთან, რუსეთის გარდა, საზღვრები საბოლოოდ დაიდება, საქართველოს მხრივ ამ შემთხვევაში საჭირო ზომების მიღება უნდა გათავდეს უახლოეს დროში, მის მიერ ამა თუ იმ ტერიტორიაზე თვისი სახელმწიფოებრივი მეპატრონეობის ფორმალური განხორციელების შემდეგ.

მუხლი VIII.

ამა ხელშეკრულების მუხლების მეხუთე და მეექვსეს სისწორით ასრულებისა და მეხუთე მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნულ პირთა და ქონების გადასაცემად არსებება შერეული კომისია ორი მხრიდან თანაბარ წევრთა რიცხვით. კომისიის მუშაობის წესი თვით კომისიის მიერ გამომუშავდება. ამ ხელშეკრულების მეხუთე მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნულ პირთა და ქონების გადაცემა უნდა გათავდეს ამ ხელშეკრულების დადების დღიდან ორი თვის განმავლობაში.

მუხლი IX.

1) საქართველოს ჩამომავლობის პირთ, რომელნიც რუსეთის ტერიტორიაზე სცხოვრობენ და დაბადებიდან 18 წლის არიან შეუძლიათ საქართველოს ქვეშევრდომობა მოითხოვონ. აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ არაქართველთ, რომელნიც ზემოაღნიშნულ წლოვანებას მიაღწევენ, უფლება აქვთ რუსეთის ქვეშევრდომობა მოითხოვონ.

2) დაწვრილებითი ზხარე ამ მუხლის აღსრულების შესახებ დამტკიცებული იქნება განსაკუთრებულ შეთანხმებით ორივე ხელშემკვრელ მხარეს შორის.

3) ორივე ხელშემკვრელ მხარის მოქალაქენი, რომელთაც სურთ ისარგებლონ ამ მუხლით მინიჭებულ უფლებით, ვალდებულნი იქნებიან აღსრულონ სავალდებულო ფორმალობა ერთი წლის განმავლობაში ამა მუხლის მეორე პუნქტის თანახმად მომხდარ შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან.

მუხლი X.

საქართველო ვალდებულია გაანთავისუფლოს სასჯელისაგან და აგრეთვე შემდეგში სასამართლო ან ადმინისტრატიული წესით დევნისაგან ყველა პირები, რომლებიც იდევნებოდენ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის ან კომუნისტურ პარტიის სასარგებლო მოქმედებისათვის.

შენიშვნა: საქართველო ვალდებულია დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს საპყრობილეთაგან ყველა პირები, რომლებსაც ბრალდებათ ზემო აღნიშნული ხასიათის მოქმედებანი.

მუხლი XI.

ყოველი შემკვრელი მხარე ვალდებულია, იცნოს და პატივით მოეპყრას მხარეთა დროშას და ღერბს, როგორც მეგობარ სახელმწიფოთა ემბლემებს. დროშის და ღერბის ნიშნები ან ცვლილებანი, რომელნიც შესაძლებელია შეტანილი დგნეს მიგ, უნდა აცნობონ ერთმანეთს დიპლომატიური გზით.

მუხლი XII.

ეკონომიური დამოკიდებულებანი საქართველოს და რუსეთს შორის განისაზღვრება დროებით, ორ ხელშემკვრელ მხარეთა შორის განსაკუთრებულ ხელშეკრულების დადებამდე, რისთვისაც უახლოეს დროში უნდა იქნეს მიღებული აუცილებელი ზომები, და რომელსაც უნდა დაედვას საფუძვლად ქვემო მოყვანილი საერთო დებულებანი:

1) ორივე ხელშემკვრელი მხარე ურთიერთ შორის სავაჭრო დამოკიდებულებას საფუძვლად უდებს უდიდეს ხელის შეწყობის პრინციპს.

2) ამ საქონელს, რომელიც მიაქვთ ერთ-ერთ ხელშეკრულ მხარეებიდან დანიშნულებისამებრ მეორე მხარეს არავითარი სატრანზიტო ბაჟი და გადასახადი არ უნდა დაადვას.

მუხლი XIII.

ხსენებულ ხელშეკრულების მე-12-ტე მუხლში აღნიშნული 1 და 2 პუნქტები უნდა დაედვას საფუძვლად სავაჭრო ხელშეკრულებას, რომელიც იმავე მე-12-ტე მუხლის ძალით უნდა დადებულ იქნას ორ ხელშემკვრელ მხარეს შორის.

მუხლი XIV.

დიპლომატიური და საკონსულო დამოკიდებულებანი საქართველოს და რუსეთს შორის უნდა აღდგენილ იქნეს უახლოეს დროში, ორ ხელშემკვრელ მხარეთა ურთიერთ შორის კონსულების დამოკიდებულების შესახებ განსაკუთრებულ შეთანხმების დადებამდე, რისთვისაც მიღებული უნდა იქნეს ყოველგვარი ზომა, მათი უფლებანი და ვალდებულებანი განისაზღვრებიან ამავე საგანზე ორ ხელშემკვრელ მხარეს შორის არსებულ კანონმდებლობით.

მუხლი XV.

საჯარო უფლებრივი და კერძო უფლებრივი ხასიათის იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც აღიძრება ორ ხელშემკვრელ მხარის მოქალაქეთა შორის, და აგრეთვე ზოგიერთ ცალკე საკითხების მოწესრიგება ორ სახელმწიფოს შორის, დაეკისრება განსაკუთრებულ შერეულ ქართულ-რუსულ კომისიას, რომელიც დაარსდება უახლოეს დროში ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ.

შემადგენლობა, უფლება და ვალდებულებანი ამ კომისიისა განისაზღვრება განსაკუთრებულ ინსტრუქციით, რომელიც დამტკიცდება ცალკე კომისიისათვის ორ ხელშემკვრელ მხარის შეთანხმებით.

ხსენებულ კომისიებს დაეკვალება სხვათა შორის:

1) სავაჭრო და სხვა ეკონომიური ხასიათის შეთანხმების შედგენა.

2) მოწესრიგება საკითხებისა, რომელიც შეეხება ყოფილ ცენტრალურ არქივების საქმის საწარმოებელ დაწესებულებათაგან სასამართლო და ადმინისტრატიულ დეპოზიტების და აგრეთვე სამოქალაქო მდგომარეობის აქტების გამოყოფას.

3) გამორკვევა საკითხისა ბათომბაქოს ნავთსადენის იმ ნაწილის მფლობელობის, განკარგულების და მოხმარების წესის შესახებ, რომელიც თანახმად. ხსენებულ ხელშეკრულების 4 მუხლისა იარსებებს საქართველოს ტერიტორიაზე. ეს საკითხი დამტკიცებული იქნება შემდეგ საბოლოოდ განსაკუთრებულ შეთანხმებით ორ ხელშემკვრელ მხარის შორის.

მუხლი XVI.

ხსენებული ხელშეკრულება შევა ძალაში თვით ფაქტის ძალით და ხელის მოწერის მომენტიდან, და საჭირო არ იქნება განსაკუთრებული რატიფიკაცია.

რის დასამტკიცებლად ორივე მხარის რწმუნებულებმა მოაწერეს ხელი და თავის ბეჭდები დასვეს.

შედგენილია მოსკოვში 1920 წელს, 6 მაისს, ორ ეკზემპლიარად.

გ. ურატაძე, ლ. კარახანი.

ამ ხელშეკრულების მეცნიერული ინტერპრეტაციისაგან ამჟამად თავს ვიკავებთ და საზოგადოებრიობას ვთავაზობთ დოკუმენტის დედანს. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ ფაქტს: 1920 წლის 10 მაისს საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია გრ. ურატაძეს, როგორც ხელშეკრულებაზე საქართველოს მხრიდან ხელმომწერ პირს, და ამასთან იმჟამად საქართველოს წარმომადგენელს საბჭოთა რუსეთში, უგზავნის ასეთ დეპეშას:

„საქართველოს წარმომადგენელს მოსკოვში გრ. ურატაძეს. მოგილოცავთ საბავო ხელშეკრულების დადებას. გადაეცით „სოვნარკომს“, რომ ზავის ამბავს ხალხი ღრმა კმაყოფილებით და აღტაცების გრძნობით შეხვდა. იმედი მაქვს, რომ ამიერიდან რუსეთსა და საქართველოს შორის მოისპობა ყოველივე გაუგებრობა და ორივე მოძმე ხალხი მშვიდობიანად და თანხმობით იმუშავებს ცხოვრების სოციალისტურ საფუძველზე გარდასაქმნელად. ხალამი მეგობრებს, ამხანაგებსა და ნაცნობებს.

ნოე ჟორდანია“.

ამ დეპეშიდან ნათლად გამოსჩვივის დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მისწრაფება საბჭოთა რუსეთთან სოციალისტურ საფუძველზე თანამშრომლობისა, ცხადია, სრული თანასწორობის, ერთმანეთის საშინაო და საგარეო საქმეებში ჩაურევლად. ჩანს, რომ საქართველოს მთავრობა და მისი მესვეური სოციალ-დემოკრატი ნოე ჟორდანია სრულებითაც არ ელალაბობდა სოციალიზმის მოდელს; და რამდენ მსხვერპლსა და უბედურებას ასცდებოდა ჩვენი სამშობლო, რომ სტალინ-ორჯონიკიძის ჯგუფს, რომელიც გამოხატავდა საბჭოთა რუსეთის იმდროინდელი ხელმძღვანელობის განწყობილებას, ყველაფერი არ ელონა იმისათვის, რომ დამოუკიდებელ საქართველოში წითელი არმიის ნაწილები არ შემოეყვანა და არ დაემხო ის მთავრობა, რომელიც ესწრაფოდა საბჭოთა რუსეთთან მშვიდობიან და მეგობრულ თანამშრომლობას.

დაბოლოს, ერთი საკითხიც: ხელშეკრულების III და IV მუხლებში, სადაც ლაპარაკია საქართველოს საზღვრებზე, საბჭოთა რუსეთი უყოყმანოდ აღიარებს საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში დღევანდელ აფხაზეთს და ზაქათალის ოლქს.

აკაკი სურგულაძე,
ავთანდილ მენთეშაშვილი.



ПОЛНОМОЧИЯ.

Между последовавшего между Правительством Российской Социалистической Федеративной Советской Республики и Правительством Демократической Республики Грузии соглашения о заключении между Россией и Грузией договора о дружбе, Правительство Российской Социалистической Федеративной Советской Республики уполномочило для ведения переговоров о заключении означенного Договора Заместителя Народного Комиссара по Иностранным Делам Льва Михайловича КАРАХАНА, уполномачивая его подписать с тем, что будет на сие уполномочен Правительством Демократической Республики Грузии имеющий быть выработанным путем этих переговоров договор, каковым договор будет обязателен для России в силу самого его подписания без особой ратификации.

В удостоверение чего, Председатель Совета Народных Комиссаров Российской Социалистической Федеративной Советской Республики подписал настоящее полномочие и приказал утвердить его надлежащею печатью.

ПРЕДСЕДАТЕЛЬ СОВЕТА НАРОДНЫХ КОМИССАРОВ



ПРОТОКОЛ.

Нижеподписавшиеся, Член Учредительного Собрания Демократической Республики Грузии Григорий Илларионович УРАТАДЗЕ и Заместитель Народного Комиссара по Иностранным Делам Российской Социалистической Федеративной Советской Республики Лев Михайлович КАРАХАН, подписав сего числа на основании пред"явленных ими взаимно полномочий своих Правительств Договор между Грузией и Россией, выработанный ими на происходивших между ними с 28 Апреля по 6 Мая сего года, на основании имеющихся у них от подлежащих Правительств полномочий, переговоров, приняли каждый по одному подлинному акту означенного Договора, для передачи такового своему Правительству.

При этом, обе договар вашиеся Стороны условились, что подписанный сего числа договор будет обоими договаривающимися Сторонами немедленно обнародован во всем его содержании за исключением пункта 10 статьи У, который будет опубликован по истечении двухнедельного с сего числа срока.

В удостоверение чего, нижеподписавшиеся составили настоящий протокол и скрепили его своими печатями.

Учинено в Москве, в двух экземплярах, Мая 7 дня тысяча девятьсот двадцатого года.



Разделы этих договоров будут, между прочим, касаться:

1. — Заключения торгового договора и иных соглашений экономического характера.

2. — Разрешения вопросов относительно выдачи из бывших центральных учреждений архивов и делопроизводства судебных и административных учреждений гражданского состояния.

3. — Определения вопроса о порядке пользования, владения и распоряжения нефтепроводом Баку-Батум, в той части его, которая в силу статьи IV настоящего Договора будет находиться на территории Грузии. Вопрос этот будет закреплен затем путем особого соглашения между обоими договаривающимися сторонами.

Статья XVI.

Настоящий договор вступает в силу самым фактом и с момента его подписания и не будет подлежать особой ратификации.

В удостоверение чего, уполномоченные обоих сторон собственноручно подписали настоящий договор и приложили к нему свои печати.

Учинено в двух экземплярах в Москве, Мая 7 дня тысяча девятьсот двадцатого года.



ДОПОЛНИТЕЛЬНОЕ ДОПОЛНЕНИЕ К ДОГОВОРУ МЕЖ

სამხედრო სამსახური კონსტიტუციური და მამაკაცური მოვალეობაა

რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, გრძელდება სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში საგაზაფხულო გაწვევა.

საზოგადოებრიობის სურვილის გათვალისწინებით წელს, ისევე როგორც შარშან, შევადგინეთ სამხედრო კომისარიატების, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლთაგან ჯგუფები, რომლებიც გაემგზავრნენ ქვეყნის სამხედრო ოლქებში, რათა უშუალოდ ადგილზე ენახათ, თუ რა პირობებში მოუწევთ სამსახური საქართველოდან წარგზავნილ ახალგაზრდებს. მაგალითად, წელს უკვე 25 ასეთი ჯგუფი იწვია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სამხედრო ოლქს. ამასთან, შარშან შეინაწილეთ საქართველოდან წარგზავნილთა სამსახური მოსკოვის, ბელორუსიის, კარპატისპირეთის, ურალმეზეთის და ამიერკავკასიის ოლქებში. საქართველოდან წარგზავნილი ახალგაზრდობის აბსოლუტური უმრავლესობა სამხედრო სავალდებულო სამსახურს პირნათლად იხდის. ამავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დაბალია ზოგიერთი მათგანის სამხედრო მომზადება და ფიზიკური წრთობა.

წვევამდელთა, მათი მშობლების, საზოგადოებრიობის თხოვნით ჩვენ მივმართეთ ზედგომ სარდლობას შეიმცირებინა მკაცრი კლიმატის რეგიონებში სამსახურის გასავლელად გასაწვევთა რიცხვი. წელს საქართველოდან გაწვეულთა აბსოლუტური უმრავლესობა სსრ კავშირის ევრპული ნაწილში იმსახურებს.

ამავე დროს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ მიტინგებზე, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან შეხვედრებზე დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ საქართველოდან გაწვეული ჭაბუკები სამსახურს გადიოდნენ მხოლოდ რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ჩვენი ახალგაზრდობის არც თუ მცირე ნაწილი ახლაც გადის სამსახურს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე. ის, რომ ასეთი ახალგაზრდების რაოდენობა დიდი არ არის, სხვა პირობებთან ერთად დამოკიდებულია იმაზეც, რომ შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება შედის გენერალური შტაბის და არა რესპუბლიკების სამხედრო კომისარიატების კომპეტენციაში. ე. ი. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა ჩვენზე არ არის დამოკიდებული. საბჭოთა არმია ყალიბდება ჩვენი მეკვეყნის ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლებით და ის განსახიერებს სახელმწიფოს მრავალეროვნულობას. ამასთან საქართველოს ჭაბუკები სამსახურს გადიან შეიარაღებული ძალების ყველა სახეობებში, რომლებიც დისლოცირებულია საბჭოთა კავშირის მთელს ტერიტორიაზე და ყველა მათგანი როდი წარმოდგენილი „ამერკავკასიაში, მითუმეტეს საქართველოში. მიუხედავად ამისა, ვიმეორებ, ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა ჯარში გასაწვევ ახალგაზრდებს შევუქმნათ მათი კონსტიტუციური და დაუმატებელი, მამაკაცური მოვალეობის, შესრულების ხელშემწყობი პირობები.

მაგალითად, როგორც უკვე ვიუწყებოდით, კანონიერ, დოკუმენტებით დადასტურებულ ქორწინებაში მყოფ მოქალაქეებს ნამდვილი ვადიანი სამხედრო სამსახური უკვე შეუძლიათ გაიარონ მათი ცხოვრებისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის ადგილის მახლობლად. დისლოცირებულ შენაერთებსა და ნაწილებში. საერთოდ ამ საკითხებთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობთ გასაწვევებისა და მათი ნათესავების ყველა საჩივარსა და განცხადებას. ვითვალისწინებთ გასაწვევთა ოჯახურ მდგომარეობას, ახლობელთა ჯანმრთელობას და ა. შ.

ამჟამად ჩვენს დედაქალაქში გავრცელებულია ხმები, იმის შესახებ, თითქოს ლიტეული ჭაბუკები მომდინარე წლიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურს მხოლოდ თავიანთი რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაიკლიან. სამწუხაროდ, ამ არასწორი ინფორმაციის გავრცელებას ხელი შეუწყო საქართველოს რადიოს 27 მაისის ერთ-ერთმა გადაცემამაც. მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ ასეთი გადაწყვეტილება არავის არ მიუღია. მაშასადამე, როგორც ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, ისე ლატვის ახალგაზრდობაც ამ გაწვევაში ამჟამად არსებული „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ კანონის შესაბამისად იმსახურებს შეიარაღებულ ძალებში. ამ კანონით კი სავალდებულო სამხედრო სამსახურის ადგილი განსაზღვრული არ არის. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა რესპუბლიკის, მხარის ოლქის ტერიტორიაზე სავალდებულო სამხედრო სამსახურზე უარის თქმა ფასდება როგორც სამსახურისათვის თავის არიდება.

მინდა ამ გარემოებას განსაკუთრებით გავუსვა ხაზი, რადგან გასაწვევთა, მთ მშობელთა ნაწილს მიაჩნია, რომ ამა თუ იმ რესპუბლიკაში სავალდებულო სამხედრო სამსახურზე უარის თქმა თითქოს არ იწვევს არავითარ პასუხისმგებლობას. ეს კი ასე არ არის.

ამიტომ ჩვენი დაბეჯითებითი თხოვნაა, ნუ შეუქმნით დაბრკოლებას სამხედრო კომისარიატების მუშაობას, ნუ შეაქმნით ისეთ პრობლემებს, რომელთა გადაჭრა დღეს არ შეგვიძლია. ყველაფერი უნდა გადაწყდეს დემოკრატიული, კონსტიტუციური გზით.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებით, დაინერგა რამდენიმე საკარგებლო სიახლე. მაგალითად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით, ამიერიდან გასაწვევთა თითოეულ ჯგუფს სამსაფეხურა ადგილამდე მიაცილებენ იმ რეკიონების პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანოების წარმომადგენლები, რომელთა აქტიურებებისაგან ძირითადად დაკომპლექტებულია ეს ჯგუფები.

ეს-ეს არის ტაშკენტიდან, სამარყანდიდან, მინსკიდან, ოდესიდან და სხვა რეგიონებიდან დაბრუნდნენ გასაწვევთა ჯგუფების თანმხლები პირები, მათ თავიანთი რაიონების ახალგაზრდები ჩაიყვანეს დანიშნულების ადგილზე, იცხოვრეს მათთან ერთად ყაზარმებში, დაამყარეს მეგობრული ურთიერთობა სარდლობასთან, ესაუბრნენ ნაწილებისა და ქვეგანყოფების პირად შემადგენლობას, მშობლებს ჩამოუტანეს პირველი ცნობები საქართველოდან წარგზავნილი მეომრებისაგან.

ბეგრმა კარგად იცის, თუ რა პირობებში მუშაობდა წინანდელი შესაკრები პუნქტი, რა უკმაყოფილებას იწვევდა იგი გამცილებელთა და გასაწვევთა მხრიდან, რომლებთაც აქ რამდენიმე დღის გატარება უხდებოდათ.

წლევანდელი გაზაფხულიდან თავიანთ სამსახურს ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები იწყებენ საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის ახალი შესაკრები პუნქტიდან, სადაც კარგი პირობებია შექმნილი გასაწვევთა ორგანიზებული გამგზავრებისათვის.

ამჟამად აქ ახალი, კეთილმოწყობილი მთელი კომპლექსი აშენდა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მთავრობამ დიდად იზრუნეს თანამედროვე გასაწვევი პუნქტის შექმნისათვის. აქ არა მარტო წვევამდელების მიღება ხდება გასამგზავრებლად, არამედ ტარდება მეთოდიკური მეცადინეობა სამხედრო კომისარიატების მუშაკებთან, მასწავლებლებთან, ომისა და შრომის ვეტერანებთან. კომპლექსის ტერიტორიაზე არის სამრეწველო და სასურსათო მაღაზიები, ფოსტა-ტელეგრაფი, საქალაქთაშორისო სალაპარაკო [illegible] ტუალეტი, სასადილო [illegible], აბანო, საპარიკმახერო, ფოტოატელიე. შესაკრებ პუნქტს აქვს თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი კლუბი, კინოეკრანი. კლუბის ამფითეატრი 700 კაცს იტევს. აქვეა მხედრული დიდების მუზეუმი და ოთახი ახლობლებთან და ნათესავებთან გასაწვევთა შეხვედრისათვის.

ვრცელ და ნათელ კაბინეტებში მუშაობს სამედიცინო კომისია. კაბინეტები, ისევე, როგორც პოლიკლინიკა აღჭურვილია უახლესი აპარატურით, ცალკე შენობა გამოყოფილია იურიდიული კონსულტაციისათვის.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი წვევამდელი ახალგაზრდობა, ისევე როგორც მისი წინა თაობები, არმიაში არა მარტო სამხედრო წრთობას, არამედ ინტერნაციონალიზმის, მოქალაქეობრიობის, ვატრიოტიზმის გაკვეთილებსაც მიიღებენ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საჯაროობისა და დემოკრატიზაციის პირობებში, საზოგადოებრივი აზრის ყოველმხრივი გათვალისწინების საფუძველზე შეეძლებთ გადაწყვეტოთ ბევრი საკითხი, რომლებიც აწუხებს ჩვენს მშრომელებს, ჩვენს მოსახლეობას, ჩვენს ახალგაზრდობას და რომლებიც დაკავშირებულია სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში ჩვენი ახალგაზრდობის გაწვევასა და სამსახურთან.

ამჟამად მიმდინარეობს სამხედრო სასწავლებლების დაკომპლექტება. გაიზარდა ჩვენი ახალგაზრდობის რაოდენობა სასწავლებლებში. ხოლო მთლიანად უკანასკნელ წლებში ოთხჯერ გაიზარდა ქართველ ოფიცერთა რაოდენობა, რაც მნიშვნელოვან მონაპოვრად მიგვაჩნია. ვფიქრობთ, რომ ეს ტენდენცია კვლავაც გაგრძელდება. არმიისადმი სწრაფვა ხომ ქართველ მამაკაცს ისტორიულად ახასიათებდა.

მათ კი, ვინც ამ დღეებში სავალდებულო სამხედრო სამსახურში მიემგზავრება, მინდა ვუსურვო პირნათლად მოეხადოს ეს მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა თავისი ერისა და ქვეყნის წინაშე, მინდა ვუსურვო ჯანმრთელობა, მორალური და ზნეობრივი სრულყოფა, მოქალაქეობრივი მრწამსის ამაღლება და განმტკიცება.

გენერალ-ლეიტენანტი
ლ. შარაშენიძე,
საქართველოს სსრ სამხედრო კომისარი. (საქინფორმი).

სასოფლო ყრილობა მსჯელობს

როგორც ვიუწყებოდით, ცხინვალსა და ლენინგორში ზეიმით აღინიშნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თარიღი — 26 მაისი. იგი ორივეგან მეგობრულ ვითარებაში ჩატარდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მის აღნიშვნას მოაყვა ინციდენტები, რამაც ვითარება გაართულა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ოსი მოსახლეობა არ იყო ინფორმირებული ამ თარიღის შესახებ. სამფეროვან დროშაზე, მენშევიკები დროშაო, გაიძახოდნენ — წამოეგნენ წამქეზებლების ანკეტზე. მით უმეტეს, რომ წინა დღეს ქალაქში გამოაკრეს პროკლამაციები: „მენშევიკებმა 1920 წელს, ამ დროშის ფრიალით შემოსულებმა, 5 ათასი ოსი მოკლეს, ჩვენ ვგლოვობთ, საზიზღო არაფერი გვაქვს, ქართველი და ოსი ხალხი მეგობარ-ნათესავები ვართ და როცა მეზობელს გლოვა აქვს, მეორე ქორწილს არ იხდის“.

სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტში საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის თარიღის აღსანიშნავ კრებაზე დასასწრებლად მიდიოდნენ ზნაურის რაიონის ავნევის საშუალო სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები, სოფლის ახალგაზრდები. მათ გზაზე გადაეღობა მეზობელი ოსური სოფლის ხეთაგუროვის მოსახლეობის ჯგუფი. ავტობუსი უკან გაბრუნეს, ავნეველებს ზეიმზე დასწრების საშუალება არ მისცეს. ვინ იყო ამ ინციდენტის მოთავე, ჯერ გაურკვეველია. იმავე ღამეს ვიღაც ბარბაროსმა სოფელ ავნევის შინმოუსვლელთა ხეთანში დაამსხვრია ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის ისა პლიევის ძეგლი. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ვინ ხელყო ქართველთა და ოსთა მეგობრობა?

ავნევისა და ხეთაგუროვის მოსახლეობა ძველთაგანვე შეხმატკბილებულად ცხოვრობს. ერთად არიან ჭირსა თუ ლხინში, ნათელ-მირონით დამოყვრებულნი. ოსს რძლად მიჰყავს ქართველი და პირიქით.

დამნაშავენი მკაცრად უნდა დაისჯონ, ვინც მეგობრობის ნაცვლად შუღლს თესავს, ხალხს წინაშე უნდა აგოს პასუხი. ამ გაწყობილებით შეიკრიბნენ 31 მაისს სასოფლო ყრილობაზე ავნეველები. მოვიდნენ ხეთაგუროველებიც, ოქროს პატრიოტული და საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკები, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორები.

სასოფლო ყრილობა გახსნა ავნევის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვლადიმერ ჭიოლაძემ.

— საოცარია, როგორ აიყოლიეს ხეთაგუროველები პროვოკატორებმა, წამქეზებლებმა, — თქვა ავნევის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ვასილ კვინიკაძემ, — ოდითგანვე ტაბლად ვცხოვრობთ, ერთმანეთისა კარგად გვესმის. მათმა მოქმედებამ გამოიცა, მეც იმ ავტობუსში ვიჯექი და გაჯიუტებულთ ვეღარა ვცნობდი. კიდევ უფრო მატკინა გული იმ გარემოებამ, რომ ხელყვეს დიდებული მამულიშვილის, სახელმოხვეჭილი სარდლის ისა პლიევის ძეგლი. თანასოფლელი კომუნისტების სახელით დამნაშავეთა მკაცრად დასჯას მოვითხოვ. ავნეველებმა და ხეთაგუროველებმა უნდა განვამტკიცოთ ჩვენი კაცობის გვირგვინი — ძმობა.

ტრიბუნასთან მიდის ხეთაგურეოვის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი რუსლან ბიგულაევი. — წარმოუდგენელი რამ მოხდა, პროვოკატორებმა სამარცხვინო ფაქტის წინაშე დაგვაყენეს — ქართველისა და ოსის მეგობრობის გაბზარვა სცადეს. ემოციებს ვერ ავყვებით. ჩვენ მარტო მეგობრები კი არა, ნათესავებიც ვართ, — იშვიათად მოიძებნება ოსური ოჯახი, რომ მეხიდური ნათესაობა არ აკავშირებდეს ქართველთან. ჩვენ ვერავინ გაგვთიშავს.

— ჩვენს რაიონში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის თარიღის აღნიშვნაზე რატომღაც არავინ იზრუნა, — თქვა ავნევის საშუალო სკოლის ორგანიზატორმა ლეილა დავითიძემ. — ამაში რაიონის ხელმძღვანელობაა დამნაშავე. მე მრავალი ოსი მეგობარი მყავს. ახლა მსაყვედურობენ, რატომ არ ვიცოდით, თუ ასეთი საზეიმო დღე გვქონდაო. დიახ, მოსახლეობა ნამდვილად არ იყო ინფორმირებული, სწორედ ამას მოჰყავა ეს სამწუხარო ინციდენტი.

სოფელ ხეთაგუროვის მკვიდრმა, პენსიონერმა კარლონ მამიევმა იანაცხადა: ძალზე გულისტკივნია ის, რაც ჩვენს სოფელში მოხდა, ვაი, სირცხვილო — ოსი წინ გადაუდგა ქართველს! მთელი სიცოცხლე სიყვარულში გვიტარებია და ახლა ვიღაც გულბოროტის, ვიგინდარას ხმას აჰყვნენ უსაქმური, ჰუუანაკლები ახალგაზრდები. ამა, ქართველი და ოსი მშრომელი კაცის შეული ვინა თქვა?! ახლა ყველა ჩვენგანს მეტი თავშეკავება მართებს. ეს ორი სოფელი ნათესაური ძაფებით არის დაკავშირებული და ყველანი უნდა ვეცადოთ შექმნილი სიტუაციის განმუხტვას, შემდგომშიც ერთად, შეხმატკბილებულად უნდა ვიცხოვროთ.

— ამ ყრილობაზე უნდა მოგვეყვანა ისინი, ვინც წინ გადაეღობა ავტობუსს, გვეკითხა მათთვის, ვინ წყაქეზათ, რამ ააღელვათ? ძეგლის შეურაცხმყოფელის მიგნება თუ გაძნელდა, „ცოცხალი ღობე“ ხომ ცნობილია, ზოგს ხომ მაინც ვიცნობთ? დამნაშავეებმა კანონის წინაშე უნდა აგონ პასუხი. ასეთია ჩვენი სოფლის ახალგაზრდების მოთხოვნა, — თქვა ავნეველმა კომკავშირელმა დავით ჭიოლაძემ.

პროვოკატორთა საქციელი დაგმეს და მათი დასჯა მოითხოვეს აგრეთვე ავნევის სასოფლო საბჭოს ტერიტორიული პარტორგანიზაციის მდივანმა მზეგული ტყეშელაშვილმა, ავნევის კოლმეურნეობის მემინდვრემ შავლეგ კაპანაძემ, სოფელ ხულის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელმა ლამარა ქოქოშვილმა, ზნაურის რაისაავადმყოფოს ექიმმა ლალი კაცელაშვილმა და სხვებმა.

ყველა გამომსვლელის ნათქვამს გასდევდა ერთი საერთო აზრი — ქართველები და ოსები ისტორიულად ისე არიან გადაჯაჭვულნი, რომ მათი გათშვა არასგზით არ მოხდება. ემოციებს არც ერთი ერის წარმომადგენელი არ უნდა აჰყვეს, მოვუხმოთ გონიერებას, რათა ორი სოფლის — ავნევისა და ხეთაგუროვის მეხოვრეობა შორის არ გაწელდეს წინააპრთა მიერ საუკუნოდ შედუღაბებული მეგობრობა.

ამ მეგობრობის ისტორიულ ფესვებზე ილაპარაკეს სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის კათედრის გამგემ, დოცენტმა პაპეკ დოგუზოვმა, ამავე კათედრის დოცენტმა მიხეილ ცოტნაშვილმა და ცხინვალის რაიონის სახალხო მოსამართლემ ნიკოლოზ გოჩაშვილმა.

ინციდენტების ირგვლივ ყრილობის მონაწილეთა შეკითხვებს უპასუხა სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა, მილიციის პოლკოვნიკმა გივი ინჯიამ.

სასოფლო ყრილობამ დაგმო პროვოკატორთა საქციელი.

გივი თედეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

თბილისი. ელენე ახვლედიანის ალმართი. ჯაბარ ლომაძის ფოტო.

საკავშირო პრესის ფურცლებზე

„პირველი მერცხალი“

ასეთი სათაურით დაიბეჭდა ამას წინათ გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ დამატება „ფუტბოლ-ხოკეიში“ ინფორმაცია, რომელშიც ნათქვამია:

„გულშემატკივრები უკვე შეეჩვივნენ იმას, რომ ყოველწლიურ საფეხბურთო ცნობარ-კალენდარს მხოლოდ პირველი წრის შუაში იღებენ. არადა, ამგვარი კრებულის გამოცემის ოპერატიულობისათვის სპეციალური კონკურსიც კია დაწესებული. შეფერხებათა მიზეზები მრავალგვარია: ქაღალდის ნაკლებობა თუ ავტორთა უგერგილობა. წლეულს კი ყველას დაასწრო და თავისი გულშემატკივრები გაახარა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დამოკიდებულმა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ, რომელმაც სეზონის დასაწყისისათვის გამოუშვა ცნობარი „ფეხბურთი 89“. იგი ქართულ და რუსულ ენებზეა.

ცნობარ-კალენდრის ავტორშემდგენლებმა ბარეგინ აკოფოვმა და ჯიმშერ ენუქიძემ მეტად ზრომატევადი მუშაობა გასწიეს. 160-გვერდიანი კრებული დაწვრილებით ასახავს არა მარტო ქართული ფეხბურთის წარსულსა და აწმყოს, თბილისის „დინამოსა“ თუ საქართველოს სხვა საფეხბურთო გუნდების ისტორიას, დღევანდელობას, არამედ აგრეთვე ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო მოვლენას, სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების 32-წლიანი ბიოგრაფიის ყოველ დეტალს. ცნობარი გამდიდრებულია ზუსტი სტატისტიკური მონაცემებით.

გულშემატკივრებს ჩინებული საჩუქარი უძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ. ვინ იქნება შემდეგი?“.

ერთპიროვნული ლიდერი

ჩვენ უკვე გაცნობეთ უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მე-12 ტურის შედეგები. თბილისის დინამოელებმა ქუჩა ჩამოიტანეს ოდესიდან, მაგრამ მათი საატურნირო მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. 11 ოამაშიდან „დინამომ“ მხოლოდ ორჯერ გაიმარჯვა, თანაც მეტოქეთა კარში სულ 9 გოლი დაიხალა. გუნდი ჯერჯერობით მე-11 ადგილზეა და აუტსაიდერს მხოლოდ 3 ქულით უსწრებს, რაც შეეხება სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილს, „აქ ერთხელსუფლებიანობაა: მოსკოვის „სპარტაკი“ 5 ქულით უსწრებს უახლოეს მეტოქეებს. სპარტაკელებმა ყველაზე მეტი გოლი (26) გაიტანეს და ყველაზე ნაკლები (5) გოლი მიიღეს საკუთარ კარში.

დღეისათვის სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„სპარტა“.	12	9	3	0	26-5	21
„დინ“. კ.	12	6	4	2	17-8	16
„დნეპრი“	12	6	4	2	14-8	16
„ტორპ“,	12	5	6	1	13-7	16
„ჩერნომ“.	12	5	5	2	15-14	15
„ცალგ“.	13	6	2	5	15-16	14
„არარატი“	12	5	2	5	10-15	12
„დინ“. მნ.	12	5	1	6	14-14	11
„მეტალის“.	11	4	3	4	13-12	11
„დინ“. მ.	12	3	4	5	16-14	10
„დინამო“ თბ.	11	2	6	3	9-10	10
„როტორი“	11	2	5	4	7-12	9
„ზენიტი“	12	3	2	7	8-17	8
„ზენტ“.	12	2	3	7	6-12	7
„ლოკომოტ“.	12	2	3	7	6-13	7
„პამირი“	12	1	5	6	7-19	7

ᲥᲐᲓᲠᲐᲯᲘ

ოთხი ტურის შემდეგ

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ქალაქ როტერდამში გრძელდება მსოფლიო თასის გათამაშების მეხუთე ტური. მეოთხე ტურში კარპოვმა დამარცხა ტიმანი (პოლანდია), შორტმა (დიდი ბრიტანეთი) — სეირავანი (აშშ), ნოგერასმა (კუბა) — ელვესტი, სალოვმა — საკმი (უნგრეთი), ნანმა (დიდი ბრიტანეთი) — ჰიარტარსონი (ისლანდია).

ოთხი ტურის შემდეგ 3,5 ქულით ლიდერობს კარპოვი, მას ნახევარი ქულით ჩამორჩება სალოვი. იუსუპოვს 2,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

რედაქტორი
ნ. ᲩᲘᲠᲥᲔᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

დასავლეთგერმანელ მედიკოსთა დახმარებით

თბილისში 9 აპრილსა და მომდევნო დღეებში ქიმიური ნივთიერებებით მოწამლული ადამიანები კვლავ გაგაგონებენ მკურნალობას ქალაქის სხვადასხვა საავადმყოფოებში. მათი მკურნალობა, ორგანიზების სრულყოფისათვის, აგრეთვე საავადმყოფოებიდან უკვე გაწერილი ავადმყოფების დისპანსიერული დაკვირვების ბაზით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დავალებით თბილისის № 1 სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრში შეიქმნა სპეციალური განყოფილება, რომელსაც აქ დაეთმო შენობის ერთი ნაწილი. ჩატარდა მისი საჭირო სარეკონსტრუქციო სამუშაოები. მალე კვალიფიციურ ექიმებს საშუალება ექნებათ გამოიკვლიონ, ადგილზეც უმკურნალონ და თვალყური ადევნონ აქ შემოსული ავადმყოფების ჯანმრთელობის მდგომარეობას. თუმცა ვიდრე ჯანყოფილება მთლიანად ჩადგება მწყობრში, სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი უკვე შეუდგა მუშაობას.

— ათი დღის მანძილზე შევიმოწვალეთ, გამოვიკვლიეთ და სათანადო მკურნალობა დავუნიშნეთ 440 ავადმყოფს, — თქვა სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის მთავარმა ექიმმა, დოცენტმა თამარ მახათაძემ, — შევიშუშავეთ დისპანსიერული დაკვირვების სქემა, რომლის მიხედვით ჩვენთან შემოსული ყველა ავადმყოფი მკურნალობის პირველ წელს კვარტალში ერთხელ გაიკვლევა აუცილებელ სამედიცინო გამოკვლევას, შემდგომ წლებში ამ პროცედურის ვადები თანდათან იკლებს, და მესამე წელს ამგვარი გამოკვლევა წელიწადში მხოლოდ ერთხელ ჩატარდება. გარდა ამისა, დასავლეთგერმანელ კოლეგებთან ერთად შეავდგენეთ სპეციალური კითხვარები. მათი საშუალებით დავადგენთ მოწამვლის ხარისხს, ჯგუფს, ადრე ჩატარებული მკურნალობის ფორმასა და მეთოდებს, განვსაზღვრავთ სამომავლო მოძიებების კურსს. ახლადშექმნილ განყოფილებაში, აუცილებლობის შემთხვევაში, საშუალება გვაქვს ავადმყოფები მოვათავსოთ გარკვეული დროით, ჩავუტაროთ საჭირო მკურნალობა და მხოლოდ ამის შემდეგ გავწეროთ სხვადასხვა საავადმყოფოში. ხაზს ვუსვამ, თუ ამის აუცილებლობა იქნება-მეთქი, რადგან, მაგალითად, დღესაც, ექიმთან მიღების რიგში მდგომი ერთი გოგონა შეუძლოდ გახდა, გონება დაკარგა, საჭირო გახდა სასწრაფო ჩარევა. გამოკეთების შემდეგ იგი საავადმყოფოში გადავაგზავნეთ.

პოლეკლინიკური და გადაუდებელი თერაპიის კათედრის გამგემ, პროფესორმა ნოდარ ბაქრაძემ აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც მოწამლულთ დაენიშნათ ჰემოპატური საშუალებებით მკურნალობა, ქალაქის საავადმყოფოებში მათმა რიცხვმა მკვეთრად იკლო. მისივე თქმით, ჰემოპატური მეთოდროდან შერწყმული ალოპატურ საშუალებებთან, რადგან მოწამვლამ ზოგიერთი ავადმყოფში გამოიწვია ადრე არსებულ სომატურ დაავადებათა გამწვავება.

ქართველი ექიმების მხარდამხარ, აგერ, უკვე რამდენი ხანია, თავდაუზოგავად იღვწიან დასავლეთგერმანელი კოლეგები. ამჟამად №1 სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრში იმყოფებიან ქალაქ ვიტენ ჰერდეკეს უნივერსიტეტის საავადმყოფოს კლინიკის ექიმები ბირგიტ შტოიერნგელი, ტორსტენ დოერინგი, ვოლფგანგ ფრიკე და თინა შმიდტი. მათ თან ჩამოტანილი აქვთ ჰემოპატური სამკურნალო საშუალებები.

— როცა შევიტყვეთ, საქართველოში მომხდარი ამბების შესახებ, ჩავთვალეთ, რომ ჩვენ აქ საჭირო ვიყავით, — თქვა ქალბატონმა ბირგიტ შტოიერნგელმა, — თბილისში გვითხრეს, რომ ავადმყოფებს უკვე მკურნალობდნენ ჰემოპატური საშუალებებით, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო, ამიტომ ვფიქრობთ, ჩვენი მედიკამენტები სწორედ დროული იქნება.

მათი აზრით, 3000-მდე ავადმყოფს ჯერაც სჭირდება ამბულატორიული მკურნალობა, მათ შორის იმათაც, ვინც უკვე გაეწერა საავადმყოფოდან, მაგრამ მდგომარეობა კვლავ რთულია, იმათი, ვინც პოლიკლინიკების მიხედვით მკურნალობდნენ და იმათი, ვისაც ჯერ კიდევ არ მიუკითხავს სამედიცინო დაწესებულებებისათვის. მოწამვლის შედეგად დატოვებულმა კატატონიურმა, ჰისტერიულმა და ხუთვის ნიშნებმა, დასავლეთგერმანელ მედიკოსთა თქმით, დროთა განმავლობაში უნდა გაიაროს.

სტუმრები მალე სამშობლოში გაემგზავრებიან, მაგრამ ფიქრობენ, რომ ექვსი თვის შემდეგ დაბრუნდნენ და კვლავ განაგრძონ მუშაობა.

სოსო თოიძე.



დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, აღმოსავლეთის ქარი 9-14, ზოგან 17 მეტრი წამში.

ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში 27-32, მთებში 25-30, მაღალმთიანეთში 18-25 გრადუსი. აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, სუსტი ქარი, ზოგან ხანმოკლე წვიმა და ჭექა-ქუხილი, მოსალოდნელია სეტყვა.

ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში 27-32, მთებში 21-26, მაღალმთიანეთში 17-22 გრადუსი.

• • •

თბილისში ცვალებადი მოღრუბლულობა, დღის მეორე ნახევარში ხანმოკლე წვიმა და სუსტი ქარი.

ტემპერატურა 30-32 გრადუსი სითბო.

ᲬᲘᲚᲘ

ᲑᲠᲫᲔᲜᲗᲐᲒᲐᲜ თქმულა: სიხარული და მწუხარება ბოლოებითაა ერთმანეთზე გადაბმული და რაკი ერთი მორჩება, მყისვე მეორე იწყებაო.

სიხარულისა რა მოგახსენოთ, ძნელი სათქმელია, მაგრამ მწუხარებას კი, როგორც ეტყობა, გრძელი ბოლო ჰქონია, მდიის, მიდის და დასასრული არც კი უჩანს. მაშ, ვინ იტყვის რა დრო უნდა გავიდეს 9 აპრილიდან, რომ ეს მწუხარება სიხარულმა შეცვალოს, ანდა მზის ნათელმა უნდა ჩაიბუდოს კაცის გულში, რომ იმ ღამის დარდი გადაფაროს?!

ალბათ, ამიტომაცაა გოჯითაც ვერ მოვცილებივარო, ნაბიჯი ვერ ვადაგვიდგამს ისე, იმ აპრილმა რომ არ შეგვახსენოს თავი. ლაპარაკით ხომ დღეინადაც ვლაპარაკობთ და ფიქრშიაც მხოლოდ მას ვუტრიალებთ.

ვინ იცის, რამდენი საცხრაპარილო ლექსი, მოთხრობა თუ სიმღერა დაიბადა და კვლავაც დაიბადება. საქველმოქმედო კონცერტებს, სპექტაკლებსა და საღამოებს ხომ თვალი აღარა აქვთ და განა იმიტომ, ვინმეს მეტისმეტად ემღერება ან ეწერება, არამედ იმიტომ, რომ მწუხარება ვეება თასია და ვიდრე თითოეული ჩვენგანი თავისი წილი ცრემლით არ ამოვასუფთავებს მას, განელება არ უწერია.

სწორედ თავისი წილი ცრემლი მიუძღვნა 9 აპრილის ტრაგედიას ამ დღეებში რუსთაველის კულტურის სახლთან არსებულმა გოგონათა კვარტეტმა „იასამანმა“.

მიუხედავად იმისა, რომ ანსამბლის ოთხივე წევრი — მანანა ალფაიძე, ზეინაბ ანანიაშვილი, ლალი სიხარულიძე და თინათინ როსტიაშვილი — პროფესიონალი მუსიკოსები არიან, ასე ერთად, ხმაშეწყობილად პირველად

თ ა ვ ი ს ი

წ ი ლ ი

ც რ ე მ ლ ი

წარსდგნენ მსმენელთა წინაშე. დიახ, ეს დღე „იასამნის“ ნათლობის დღე იყო, დაბადება კი, რამდენიმე ხნით ადრე მოხდა, მაშინ, როცა ოთხმა, სიმღერაზე თავდავიწყებით შეყვარებულმა ქალიშვილმა, ნებისთი თუ უნებლიეთ, ერთმანეთი ჰპოვა და ხმები შეუწყო.

კვარტეტის პირველივე საქველმოქმედო კონცერტმა ცხადყო — ეს არის მაღალპროფესიული, საკუთარი ხელწერის მქონე ანსამბლ